



# ნიკოლოზი



№ 43 (111) 1 დეკემბერი 2009 წლის 10 თებერვალი "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

**ზვიად გამსახურდია  
მართლმადიდებლობის  
შესახებ 2**



**ლავრენტი 4  
ბერია —  
ქართული  
გენია**



გაზეთი "ნიკოლოზი" უბოძებდა რეპრიაჟს "სსრკ-ის ლეგენდარული მატჩები"



**ფრანგული  
დუბლი**

12



**პატრიარქის  
შემოდგომა...  
მბერ-მოყვარე ვერ  
გაბერჩიოს  
ერთმანეთისაგან**

**11** იუდეველთა მოდგმის ყველაზე საშინელი წყევლა.


**რაზეა გაასი,  
ანუ რატომ  
დასჭირდა  
სოფლის  
შენებას  
ერთი კაი  
ბასი...**

3-5



**სისოხელის უფლების  
ხელყოფა საქართველოში 6**

**მარიკა 7  
ლორთქიფანიძეს  
დარუბანდის ჭიუკარი  
და დავით-გარეჯის  
სამონასტრო  
კომპლექსი ჩირად არ  
უღირს!..**



9

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:  
აფხაზეთისა და 10  
ოსეთის  
დაკარგვით  
საქართველოს  
დაულის პროცესი  
არ დამთავრებულა**

# ზვიად გამსახურდია მართლმადიდებლობის შესახებ

ინტერვიუ, რომელიც საქართველოს პირველმა და ჯერჯერობით ერთადერთმა კანონიერმა პრეზიდენტმა, სულმანთა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის ოქტომბერში მისცა გაზეთს "ქართველი ერი".

**"გთხოვ ყველა დილა-საღამოს – განსაკუთრებით ბოლო თვეებში, იკითხე ხმამაღლა ოთხმოცდამეათე ფსალმუნი. სომ იცი, რა ჯაგჷანია!"**  
(მერაბ კოსტავასთვის საპატიმროში გაგზავნილი წერილიდან)

– ბატონო ზვიად, ჩვენ ოპოზიციისა და პოპოლარის ურთიერთობას განვიხილავთ, როგორც ბრძოლას ტრადიციულ მართლმადიდებლურ ზნეობასა და დასავლურ ზნეობას შორის. როგორია თქვენი აზრი?

– მე მგონი, თქვენი შედარება მართებული არ არის, და აი რატომ: ე.წ. ოპოზიციის ვერცერთი სარწმუნოებისათვის დამახასიათებელ ზნეობას ვერ ვაჩვენებ. მისი ქცევა ძირითადად გაჯერებულია მხოლოდ უზენაობით: სიცრუით, სიყალბით და გამცემლობით. აქ მგონი, უფრო დღეს დასავლეთისათვის დამახასიათებელ უზნეობასთან გვაქვს საქმე: ყველაფრის გაყიდვა-დახურვა-დაგდება მატერიალურ ფასეულობებზე, სულიერი ღირებულების სრული იგნორირება-უარყოფა. მათი მოძრაობა მატერიალურის სულიერზე მაღლა დაყენებას უკავშირდება და ეს უპირისპირდება არა მარტო მართლმადიდებლურს, არამედ ყოველგვარ ზნეობრივს.

– როგორ გეგახებათ მართლმადიდებლობის დანიშნულება თანამედროვე ქართულ ყოფაში?

– მართლმადიდებლური ზნეობა ჩვენი ისტორიული ზნეობაა და ამას არ უნდა გუდალატოთ. შეიძლება დღეს ის არ გაეოთ უმკაცრესი რიგორიზმის სახით, როგორც უწინ, მაგრამ დღევანდელი ფართო გაგებით მართლმადიდებლობა უნდა იყოს ჩვენი ერის ცხოვრების საფუძველი. ასე ვფიქრობ, რადგან თვითონ მე მართლმადიდებელი ვარ და მართლმადიდებლები იყვნენ ჩვენი დიდი მეფეები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. მოკლედ, ეს ჩვენი ეროვნული იდეოლოგია იყო და დღესაც უნდა დარჩეს ეროვნული იდეოლოგია.

– როგორ უყურებთ მოდერნიზმს ეკლესიაში?

– მე არ მიმანია ჯანსაღ მოვლენად მოდერნიზმი და დღევანდელი გაგებით ეკუმენიზმი. ამას უნდა ვებრძოლოთ და ვამხილოთ.

– გარკვეულ ადამიანთა ეჭვს იწვევს თქვენი მართლმადიდებლობა, თქვენი ანთროპოსოფიისთან ადრინდელი დამოკიდებულების გამო. რას გვეტყვით ამის შესახებ?

– ეს უმეცრების შედეგია. ანთროპოსოფია არ არის რელიგია, არ არის აღმსარებლობა. ალბათ იფიქროს, რომ ვინმემ თქვა, ეს კაცი ოვგელოზად ჰქვამის მოძღვრებას, ამიტომ მართლმადიდებელი არ არისო. ვთვლი, რომ თანამედროვე მართლმადიდებელი უნდა იყოს ენციკლოპედიურად განსწავლული ყველა სულიერ მიმდინარეობაში. "იყავით მეცნიერ, ვითარცა გველი" – ახალი აღთქმის დევიზია. ანთროპოსოფიის ან სხვა მოძღვრების შესწავლა არ ნიშნავს მართლმადიდებლობის მტრობას ან არა-მართლმადიდებლობას. უწიგნურების რელიგია არავის სჭირდება, რწმენა და ცოდნა განუყოფელია. ანთროპოსოფიის გარდა, ასევე ინტენსიურად ვსწავლობდი ყველა რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას, რაც არ ნიშნავს ჩემი მართლმადიდებლობის ოდესმე დაბრუნებას. სხვათა შორის ჩემზე და მერაბ კოსტავაზე შეგნებულად გაავრცელა ეს ჭორები ოპოზიციის ბოროტმა და უმეცარმა ნაწილმა.

– ბატონო ზვიად, ამას წინათ ვეუარდ შევარდნაზე განაცხადი, რომ უნდა შეიქმნას საერთო სახელმწიფო ატლანტიკიდან ვლადივოსტოკამდე. საერთოდ, რა აზრის ბრძანებით მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებზე ხედავთ თუ არა მასში რამე რელიგიურ საფუძველს?

– ეს პროცესები შეიძლება არის კიდევ რელიგიური საფუძვლის მქონე, მაგრამ ამის პირდაპირი საბუთი არ გვაქვია. ზოგიერთი ინტეგრაციის უყურებს ისე, როგორც ეს იყო საბჭოთა იდეოლოგიაში:

ერების შერწყმა, ასიმილაცია და ურთიერთგაბეჭევა. მე ასე არ მესმის. თუ იქნება ინტეგრაცია, უნდა იყოს ერებისა და სახელმწიფოების ინდივიდუალობის შენარჩუნებით, რელიგიური მრწამსების შენარჩუნებით, ურთიერთშორისი კავშირების გაძლიერება, ურთიერთკოორდინაცია მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკის გლობალური პარამონიზირება, და არა ისე, რომ დავივიწყოთ ჩვენი ეროვნება, დავეთხოთ სუვერენიტეტი, რელიგიური იდეოლოგია და გავითქვიფოთ რაღაც ერთში, უნიტარულში, რომელიც ჩვენი უცნობია და რა საფუძველი აქვს ამას, მე არ ვიცი. შეიძლება შევარდნაქვს და მის მსგავსთ ეს საწინააღმდეგოდ ესმით.

– თუ შეიძლება დაგვისახელოთ თქვენი საყვარელი ღვთისმეტყველი.

– პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იოანე ღვთისმეტყველი, შემდეგ ათანასე დიდი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, დიონისე არეოპაგელი ("ბრძენი დიენისი"), გრიგოლ ნოსელი, ბერის დასახელება შეიძლება, მაგრამ ერთი გამორჩეული რომ ვთქვა, სწორი არ იქნება.

– ბატონო ზვიად, მეცნიერთა გარკვეულ წრეებში ამბობენ, რომ ბასილ დიდი ქართველი იყო...

– რა თქმა უნდა. ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი – კაპადოკიელები იყვნენ. კაპადოკიელები კი ქართველური მოღვაწეა. ფაქტიურად იგივე მესხები და ზანები არიან.

– ბატონო ზვიად, რას გვეტყვით საეკლესიო კალენდრის შესახებ და გამართლებული ხომ არ იქნებოდა საერო კალენდრის ძველი სტილის საეკლესიო კალენდრითა შესაბამისობაში მოყვანა?

– ვთვლი, რომ უფრო სულიერი და მართებული ძველი სტილით მოქმედი საეკლესიო კალენდარი, ანუ, რომელიც დღეს მოქმედებს ეკლესიაში. რაც შეეხება საერო კალენდარს, მის შეცვლას გარკვეული სიძნელებების გამო ვერ მოვახერხებთ. იმ ეკლესიებმა კი, რომელნიც ახალ სტილზე გადავიდნენ, ჩემი აზრით, წააგეს.

– გარკვეულ საზოგადოებრივ წრეებში აზრია, რომ კარგი იქნებოდა საქართველოს დერბზე გამოსახული მხედრისათვის მიგვეცა დასრულებული რელიგიური სახე.

– ახლავე მოგახსენებთ. ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ ეს მაინც არის საერთო სახელმწიფო დერბი. ჩვენ რომ მასზე წმინდა გიორგი გამოვსახოთ ნიშნით, იქნება რელიგიური ხატი. გამოდის, რომ რელიგიური ხატი უნდა გამოვსახოთ ფულზე, ავტონომიის მანქანაზე და ა.შ. ეს კი მკრეხელობა იქნება. ამიტომ მგონია, რომ ეს ფორმა უფრო გამართლებულია. თავისთავად იდენისათვის პატივისცემაა და, ამავე დროს, რიდი ეკლესიისა და რელიგიისა. არ შეიძლება საეროს და საეკლესიოს ერთმანეთში აღრევა.

– ამას წინათ, "ნეზავისიშია გაზეთაში" შევარდნაძის ინტერვიუ გამოქვეყნდა რელიგიისთან დაკავშირებით, თუ გავცანი?

– რაც შეეხება შევარდნაძის ინტერვიუს, მის რელიგიურ განათლებას და იმის მტკიცებას, რომ დავით აღმაშენებელი მენიუებს აშენებდაო, ეს არის აბსოლუტური უმეცრება. მენიუებს კი არ აშენებდა, მაშინდინურ უბნებში ღორის დაკვლა აკრძალა, რადგან თბილისის აღების შემდეგ ძლიერ გამწვავდა ურთიერთობა მუსულმანურ მოსახლეობასთან. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ინტერნაციონალისტი იყო შევარდნაძის გაგებით, არამედ ნიშნავს ყველა ადამიანის პატივისცემას, რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად და ამაში არ დევს ის აზრი, რომ დათმობდა მართლმადიდებლობას და გადავიდოდა მუსულმანურ სარწმუნოებაზე. მენიუები მას არ აუშენებია და საიდან მოიტანა ეს შევარდნაძემ – არ ვიცი, რომელ ისტორი-

ულ ცნობას ეყრდნობა. შემდეგ, ვერ გავიგე, რას ნიშნავს სვანეთის უბანში დიდგორი, სად არიან იქ სვანები? ასეთი გეოგრაფიული გაგება – "სვანეთის უბანი" – დიდგორზე არ არსებობს; თუმცა ეს შეიძლება რედაქციის შეცდომაა არის. მოკლედ რომ ვთქვა, ამ ინტერვიუს გაცნობამ ძლიერ განმაცვიფრა.

– რა აზრის ბრძანებით შევარდნაძის მიერ აშენებულ რიტუალების სასახლეზე, დღეობების დაწესებაზე?

– ეს გახლავთ "მაგნე ტრადიციებთან" ბრძოლის პერიოდი. მისი "მაგნე ტრადიციებთან" ბრძოლა კი რელიგიისთან, ქრისტიანობასთან ბრძოლას ნიშნავდა. "მაგნე ტრადიციები" რელიგიის ფსევდონიმი იყო, შევარდნაძე გადავიდა მონასტრების, ეკლესიების დახურვაზე და, როგორც ჩანს, საერთოდ რელიგიის ლიკვიდაციის გეგმა ჰქონდა. ყველაფერი, რაც მაშინ ხდებოდა, ამაზე მიუთითებს. დღეს ჩვენმა ოპოზიციამ რომ დროშად გაიხადა შევარდნაძე, ამას არ იხსენებს. აქედან ჩანს კავშირი ჩვენს "ოპოზიციასა" და კრემლს შორის.

– ბატონო ზვიად, როგორია თქვენი პროგნოზი საქართველოს შესახებ ეს ქატოლოგიურ დროში?

– დროის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. მოციქულთა საქმეში წერია: "არა თქუენ არს ცნობა ჟამთა და წელთა, რომელნი იგი მამამან დასხნა თვისთა ხელმწიფებითა". დრო და ჟამი ქვეყნის აღსახარების უწყის მხოლოდ უფალმა, სოლო საქართველოს აღდგომა და ივერიის გაბრწყინება გარდავალოდა და ამისკენ მივდივართ, მე მგონი, ჩვენ.

– რას გულისხმობდით, როცა ბრძანებით, მართლმადიდებლობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს?

– ეს, რა თქმა უნდა, თეოკრატიას არ ნიშნავს. მე ვთქვი, რომ ეს არის სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგია და სახელმწიფო პოლიტიკა ეყრდნობა მართლმადიდებლობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს თავს მოახვევს, ვთქვათ პროტესტანტებს, თუნდაც მუსულმანებს. სახელმწიფო ცეცხლითა და მხვილით კი არ გაავრცელებს მართლმადიდებლობას, არამედ მოუწოდებს ყველას მისი პატივისცემისკენ და მას შეუწყობს ხელს ყველაზე მეტად. ამავე დროს არც სხვას არ დაანაგრინებს მართლმადიდებლობას.

– და ბოლოს, რას იტყვით ჩვენს ეკლესიაზე?

– ჩვენს ეკლესიას სჭირდება განწმენდა – ძველი კომუნისტური დროიდან ბევრი უარყოფითი მოვლენა და პიროვნება გადაიშალა ამ ახალ პერიოდს. საბოლოოდ იგი უნდა იქცეს ჭეშმარიტად წმინდა ეკლესიად. საერთოდ, ვთვლი, საჭიროა საეკლესიო კრების მოწვევა და დიდი წმინდა კადრების სფეროში, საჭიროა ახალი რუსურბნისის კრება...

გაზეთ "ილორის" კომენტარი – ამ ინტერვიუდანაც აშკარად იგრძნობა, რომ მაღალინტელექტუალურ ზვიად გამსახურდიას ცნობიერების საფუძველი გახლდათ ქრისტიანულ დრებულებათა პრიორიტეტი, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, ქრისტიანული რაინდობა. როგორ გგონიათ, მუდამ კორპორატიული ინტერესების ერთგული ვეუარდ შევარდნაძე და მისი სატელიტი ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო წრეები დაუშვებდნენ, რომ ამგვარი სულისკეთების ადამიანი დიდი ხნით დარჩენილიყო საქართველოს სათავეში და ჭეშმარიტი მართლმადიდებლური გზით წაყვანა ქვეყანა და ერი? კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ერთ-ერთი ამერიკელი მსოფლიო ზბიგნე ბუჰინსკის სიტყვებს: "საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ჩვენ დავგრძნავთ ერთი დაუძინებელი მტერი

– მართლმადიდებლობა!" განა სწორედ შევარდნაძის მიერ იარაღის ძალით საქართველოს დამონების შემდეგ არ მომრავლდნენ ჩვენთან საძრახისი რელიგიური სექტები, რომლებიც ყველა საშუალების გამოყენებით ცდილობენ მართლმადიდებლობის დაკნინებას, განა შევარდნაძის მიერ გაზრდილ-გამოკვებულმა ლეკებმა არ ამოგვიშალეს პასპორტებიდან ეროვნებისა და მამის სახელის გრაფა, რათა თავიანთი არაქართული წარმოშობა და უჯიშობა მიჩქალონ, განა შევარდნაძის ხელდასხმით არ დაიწყო საქართველოს სულიერი, ეთნიკური და მატერიალური ნგრევის შეუქცევადი პროცესი?

და ამის შემდეგ, მხოლოდ შეგნებულ სიბეცედ ან სიბრყველ შეიძლება შეგვასდეს ის, რომ დღემდე ვერ დაგვიდგენია, თუ ვინ არის ზვიად გამსახურდიას მკვლეელი, ვინ შემოუსია საქართველოს, აკაკის "ღამურებად ქცეულ", გადაჯიშებულ სომეხთა ხროვა და სხვა მანქურთები, რომლებიც დღემდე ცდილობენ შავი თეთრად მოაწვენონ ყოფილი პრობლემებისაგან გატანჯულ მოსახლეობას, რომლებმაც დააქციეს ქვეყნის განათლების სისტემა და ეკონომიკა, დააკანონეს საქართველოსაგან მისი ძირძველი კუთხეების – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოწყვეტა, რომელთაც ლუკა-პურის საძებნელად გადახვეწეს საქართველოდან მიღობამდე ქართველი, რომლებიც მასმედიის საშუალებით პროპაგანდირებას უწყვენ პროსტიტუციას, კომისექსუალიზმს, ლესბოსელობას, სხვა მანკიერებებს, რაც ყოველად მიუღებელია ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისათვის. აი, ვინ არიან ზვიად გამსახურდიას მკვლელები!

მხოლოდ გულბრყვილომ შეიძლება დაიჯეროს, რომ, როგორც ხელისუფლების სატელიტი მასმედიის საშუალებები აცხადებენ, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელი თამაზ ნინუა, მეუღლესთან ერთად, მხეცურად მოკლეს მხოლოდ მისი მცირე ბიზნესის გამო. ეჭვსარეშეა, რომ ნინუას უამრავი დოკუმენტი გაჩნდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობასთან დაკავშირებით, რაც ბევრ ბურუსით მოსილ ფაქტსა და პიროვნებას გამოაშკარავებდა.

ამიტომაც მოიშორეს იგი თავიდან! როგორც ცინიკოსები ამბობენ: აღარ არის კაცი, აღარ არის პრობლემა...

ამიტომ, ვიდრე შევარდნაძის მიერ ხელდასხმული მმართველები იბოგინებენ საქართველოში, ვერასოდეს დაგვადგენთ, თუ ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია და ვინ ჩასცა ზურგში ხანჯალი საქართველოს, ისევე, როგორც დღემდე ვერ დაგვიდგენია, თუ ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე, თუ ვინ მოკლა პატრი მიქაელ თამარაშვილი, თუ ვინ მოკლა გურამ შარაძე და სხვა ბევრი ის ქართველი მამულიშვილი, რომელთა უპირველეს საზრუნავს ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური გაძლიერება და ქვეყნის გამთლიანება წარმოადგენდა...





რაზაა ბაასი, ანუ რაზომ დასჭირდა სოფლის შენებას ერთი კაი ბასი...

„ზონდერბრიგადები“ – ასე უწოდა ხალხმა სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებს, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ „გარდების რეგულაციის“ დასრულებისთანავე შექმნა. სიმართლე, თავდაპირველად პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი ამ სამსახურის შესახებ საქართველოში ბევრმა არ იცის, მიუხედავად იმისა, რომ „ზონდერების“ სპეცოპერაციები საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე ყბადაღებულ თემად იქცა. ამიტომ ერთ-ერთ მათგანთან, თუნდაც ყოფილ თანამშრომელთან, საუბარი ჩემთვის ინტერესმოკლებული არ იყო.

– „თავიდან გეხიაროდა, რომ საქართველოში შევარდნაძის მიერ მემკვიდრეობით დანატოვარ ბოროტებას – ყოფილი მაღალჩინოსნების კორუპციული კლანებს, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ქონების დამტაცებლებს, ჩრდილოდან ბიზნესს ეგებოდით, სადაც ფული თეთრდებოდა და ხაზინაში გადასახადები არ შედიოდა. დღედაღამ სიამოვნებით ვმუშაობდი – „გარდების რეგულაციამდე“ მიშას ვუჭერდი მხარს და 2003 წლის ნოემბერშიც მის გვერდით ვიდექი – კერძოდ, ვეხმარებოდი რაიონებიდან თბილისში ხალხის ჩამოყვანის, იმ სახელგანთქმული ავტობუსების კოლონის ორგანიზებაში... მაგრამ მალე ვიგრძენი რომ ჩვენ არადასრულებულსაა გვიყენებდნენ, რომ პრეზიდენტს გარს ეხვია უამრავი ცუდი მრჩეველი, რომლებსაც მხოლოდ პირადი მიზნები ამოძრავებდა – გამდიდრება, სამსახურებრივი წინსვლა და ზოგჯერ შურისძიებაც... პოლიტიკოსი არა ვარ, ჯარისკაცი ვარ, რომლის სპეცმომზადებაც სამშობლოს 60.000 დოლარზე მეტი დაუჯდა, მაგრამ ბოლო წლებში უამრავ რამეს მოვესწარი და ელემენტარულად შიშის თეთრისგან გარჩევა ვისწავლე... ქული დავიხურე და შინ წავედი“.

დღეს საქართველო დიდი მოვლენების ზღვრებზე დგას, ხოლო სააკაშვილის მრჩეველები – უნიჭო დიდიტანტები, მათი დაუდევრობის მალეგალიზებული მოსიდელო ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციებისა ხელმძღვანელები, მათი გამაძრავებელი ტელეჟურნალისტები – მას კვლავ უფსკრულისკენ უბიძგებენ! ზოგიერთი ამ მარინეტთაგანს 2007 წლის აგვისტოში დუქიმოდგარი უმტკიცებდა მიშას, რომ რუსებს დაჯანჯული ტანკები ჰყავთ და ემუდარებოდნენ (თავად სააკაშვილის სიტყვებით) ბლიცარების დაწყებას. დღეს კი მათ ჯიუტად არ სურთ ახალი რეალიტების დანახვა და ინერციით „მიგორავენ“ ბუშის ქუჩაზე – არის ასეთი თბილისში...

არა მარტო ისინი: ე.წ. ოპოზიციის მთელი სპექტრი – ალასანიას, გაჩეჩილაძის, ბუჩქაძისა და უსუფაშვილის, გამყრელიძის, ზურაბიშვილის, თარგამაძის, თორთლაძისა და დანარჩენების პარტიები ტყუპები არიან არა მხოლოდ ფორმით, არამედ შინაარსითაც: მათ ყველას ვაშინგტონის მხარდაჭერის, ინსტრუქციებისა და დაფინანსების იმედი აქვთ და დავიწყებით, რომ იქ პროექტ „საქართველოს“ ავტორები – ბუში და რესპუბლიკელები კი აღარ არიან, არამედ დემოკრატები, რომლებსაც ამ უიღბლო ექსპერიმენტთან, ისევე, როგორც წინა ადმინისტრაციის სხვა მარცხიან ავანტიურასთან (კოსოვო, ავღანეთი, ერაყი) კავშირი არ აქვთ!

რა მაძლევს ამგვარი ფიქრის საფუძველს:

– ა. წ. 6 მარტს პილარი კლინტონმა ენევაში შეხვედრისას სერგეი ლავროვს „გადატვირთვის“ წითელი დილაკი აჩუქა – რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების ახალი სტადიის დასაწყისის სიმბოლო. თუმცა ქართული პოლიტიკის (ზემონახსენები ცუდი მრჩეველები) მაინც გაპყვიროდა, რომ აშშ და ევროპა უთუოდ დასჯიან რუსეთს საქართველოსთან ომისთვის;

– ა. წ. 6 ივლისს ობამამ მოსკოვის სამიტზე განაცხადა, რომ აშშ ამერიკიდან კონთაინერებს რუსეთის ინტერესებს საინტენსივო სივრცეში, მათ შორის – საქართველოშიც. მაგრამ ქართულმა პოლიტიკებმა იმეტირეს რუსეთს ტო-

ტალური საერთაშორისო იზოლაცია უწინასწარმეტყველა;

– ა. წ. 17 სექტემბერს ბარაკ ობამამ დაუთმო რუსეთს და, რფ-ის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის სიტყვებით, მამაცი ნაბიჯი გადადგა, როცა ევროპაში რაკეტ-საწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მესამე პოზიციური რაიონის შექმნაზე უარი განაცხადა; თუმცა ჩვენი ჰეგემონი ექსპერტები მაშინვე აწყობდნენ, რომ რადარი საქართველოში განთავსდება;

– ა. წ. 18 სექტემბერს ნატოს ვენერა-ალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რას-მუსენმა ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო მზად არ არის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გასაწევრებლად სავსებით ობიექტური მიზეზების გამო. ის არ შეესაბამება ნატოში გაერთიანების კრიტერიუმებს ალიანსის რიგების შეესაბამებისთვის, – აღნიშნა საბჭოში სიტყვით გამოსვლისას. მაგრამ ჩვენმა პოლიტოლოგებმა ისევ იცრუსეს, რომ „ცალი ფხიში“ უკვე ნატოში ვართ, ხოლო რუსეთი ეკონომიკური კოლაფსისა და ტერიტორიული დაშლის ზღვარზეა;

– ა. წ. 30 სექტემბერს ტალიაინის კომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც ადასტურებს, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი საქართველომ დაიწყო. თუმცა საქართველოს ხელისუფლება და ზემონახსენები „ანალიტიკოსები“ საწინააღმდეგოს ამტკიცებენ და კვლავც წინასწარმეტყველებენ პუტინისა და ლავროვის გადადგომას, რომლებსაც მედვედევის თითქოსდა დედ-დედზე გაათავისუფლებს გასული წლის აგვისტოში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის;

(კულუარული ინტრიგები ჩვენი პოლიტიკანების საყვარელი თემაა: ისინი თავიანთი საზოგადოებაში უნდა იყოს, 12 დეკემბერზე აფხაზეთში დანიშნული არჩევნების წინ, მათ ბედკრული საქართველო დაივიწყეს და იმაზე კამათობენ, თუ ვინ გახდება აფხაზეთის პრეზიდენტი... მინდა, დავძინო: პუტინი თუ მედვედევი, ბადაფში თუ ხაჯინდა, კოკოთი თუ ჯუსოვი – რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, ინტრიგანო?! თქვენგან განსხვავებით, არც ერთი მათგანი სამშობლოს ვალუტაზე არ გაყიდის!)

– ა. წ. 13 ოქტომბერს პილარი კლინტონმა მოსკოვში განაცხადა, რომ არავითარი მიზეზი არ აქვს იფიქროს, თითქოსდა რაკეტ-საწინააღმდეგო ობიექტები საქართველოში განთავსდება და აშშ-ს სურს რუსეთთან ერთობლივი რაკეტ-საწინააღმდეგო თავდაცვა ჰქონდეს, რომელიც რუს ხალხსაც დაიცავს, ამერიკელსაც და ჩვენს ევროპელ მოკავშირე მეგობრებსაც; რომ ის მოხარული იქნება, შეხვედრას პრემიერ-მინისტრ პუტინს; რომ აშშ დაეხმარება ქართველ ხალხს (და არა ხელისუფლებას! – ა. ხ.), თავი დაცულად იგრძნოს და მაშინვე დასძინა, რომ ისინი წვრთნიან ქართულ ჯარებს ავღანეთში გასაგზავნად... რომ ამერიკა და რუსეთი განსხვავებული ქვეყნებია, განსხვავებული ღირებულებებითა და ისტორიული გამოცდილებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი თანამშრომლობა ვერ განვითარდება; დიახ, აშშ არ აღიარებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, მაგრამ ითანამშრომლებს ყველა სფეროში, რომელშიც ის და რუსეთი თანხმდებიან, რადგან ეს ურთიერთობების გაფართოებისა და გაღრმავების საშუალებაა.

თითქოსდა მხოლოდ ნამდვილი იდიოტი ვერ შეამჩნევდა, რომ აშშ-მა (პირველად უახლესი ისტორიის განმავლობაში!) უგულვებელყო მენტორული ტონი და მსოფლიო განდარმის როლი, უარი თქვა ორი „ბ“-ს ფორმულაზე (ბუეზინსკისა და ბუშის): „ჩვენ ვაწარმოებთ უსაფრთხოებას, თქვენ ვიწმინდათ მას“, შეწყვიტა რუსეთის ჰეგემონი, უგულვებელყო მკვეთრი კრიტიკა ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებში და პატივისცემით აღიარა, რომ რუსეთი და ამერიკა განსხვავებული ქვეყნებია! (8.000 კოლომეტრით დაშორებული ამერიკა როგორ აღმოჩნდა საქართველოსთვის უფრო ახლობელი, ვიდრე მეზობელი – რუსეთი, რომელთანაც მას 900 კმ საერთო საზღვარი გააჩნია –

კითხვაა ფსიქოთერაპევტისთვის...) მაგრამ ჩვენი ვაიპოლიტიკოსები და პროქტოპოლიტოლოგები კვლავ „ღრუბლებში დაფრინდნენ“ და აცხადებენ, რომ პილარმა განავრძო აუღიარებლობის პოლიტიკა, რომ თითქოსდა აშშ-მ დიდი ზეწოლა განახორციელა რუსეთზე და მალე აიძულებს აგრესორებს, ჯარები ოკუპირებული ტერიტორიიდან გაიყვანონ...

საგანგებოდ ამ ცრუპენტლებს ორ ახალ ინფორმაციას შევთავაზებ განსხვავებისთვის (რა თქმა უნდა, თუ განსჯის უნარი საერთოდ შესწევთ):

– ა. წ. 14 ოქტომბერს რუსეთის სატრანსპორტო კომპანიის «Вертикаль – Т»-ს შეუქმნა მონაწილეობა მიიღო ავღანეთის ტერიტორიაზე ჩამოგდებული აშშ-ის შეიარაღებული ძალების შევლემ-ფრენის „Boeing CH-47 Chinook“-ის ევაკუაციაში, რომელსაც ცეცხლი გაუხსნეს და აიძულეს ყანდაგარის მიდამოებში დაშვებულიყო. რუსეთის Ми-26-მა 110 კმ იფრინა გარე ფარზე დამაგრებული ამერიკული შევლემფრენით და უსაფრთხო ადგილას გადაიყვანა ოცი;

– ა. წ. 17 ოქტომბერს კისინჯერმა გაზეთი „Le Figaro“-სთან ინტერვიუში განაცხადა: „აშშ-მა შეცდომა დაუშვა, როცა პატივისცემით არ მოეპყრო რუსეთს. როცა საქმე სტრატეგიულ პარტნიორობას ეხება, რომელიც შიდა მიზეზების გამო თავისი ისტორიის რაღაც მომენტში შედარებით სუსტდება, უმართებულოდ ამ პარტნიორობაზე უნდა მიმჩნია, რომ ობამას ადმინისტრაციას სწორად იქცევა, როცა რუსეთთან თანაბარუფლებიან დიალოგს ადადებს“.

ახლა ვიფიქროთ, რა „გავაფრინეთ“ გასულ კვირებში და სად „გავაფრინდებით“ უახლოეს მომავალში, ალბათ, – ა. წ. დეკემბრის მთვრალ ან მომავალი 2010 წლის იანვარის მთვრალ ნახევარში. რატომ?! განვმარტავ, ოღონდ მანამდე სამი ბოლო „გავაფრინა“ განვიხილოთ:

1) საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ა. წ. 6 ოქტომბრის ვიზიტი თურქეთში და მისი შესხვედრა პრემიერ-მინისტრ ერდოღანთან ხომ არ არის გამოწვეული იმით, რომ უახლოეს მომავალში თურქეთის აფხაზეთის დიასპორის – მუჰაჯირების ზეწოლით თურქეთმა, შესაძლოა, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი აღიაროს?

2) ა. წ. 25 სექტემბერს გაეროს გენასამბლეაზე სიტყვით გამოსულ სააკაშვილს რატომ არ მისცეს საშუალება, არა თუ გამოლაპარაკებოდა, არამედ მიახლოებოდა ობამას – იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს უწოდებს?

3) ტალიაინის დასკვნის გამოქვეყნებიდან მეექვსე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ჯერ რატომ წარმოადგინა პარლამენტში „ეკონომიკის თავისუფლების აქტი“ (რომლის მიხედვითაც უპრეცედენტოდ ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა გვექმნება, უცხოელ ინვესტორებს შედგავთიანი საგადასახადო რეჟიმი დაუწესდებათ, ლიკვიდირებული იქნება ორმაგი დაბეგვრა და კერძო საბანკო სექტორზე სახელმწიფო კონტროლი, აიკრძალება ახალი მაკონტროლებელი სტრუქტურების შექმნა და ეს ყველაფერი შევა კონსტიტუციაში), ხოლო ექვსი დღის შემდეგ სასწრაფოდ გაფრინდა ქვეყნიდან? ხომ არ მოსთხოვეს მას შეინებმა თავიანთი ინვესტიციების დაცვის გარანტიები (რომლებსაც ფული დააბანდეს ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (CHZ) შექმნასა და აეროპორტის აგებაში, ტელეკომპანია „იმედში“, თბილისის გარეუბნებში მიწის ნაკვეთებსა და სხვა ბიზნესპროექტებში), ტალიაინის დასკვნის გაცნობისას, რომელმაც კატასტროფულად შეარყია საქართველოს პრეზიდენტის იმიჯი?!

ახლა კი, რატომ არ გამოვირცხავ, რომ დაახლოებით 2009 წლის 15 დეკემბრის შემდეგ 2010 წლის 17 იანვრამდე საქართველოში შესაძლოა გათამაშდეს იმ დრამის დასკვნითი ნაწილი, რომელიც, ბოლო ექვსი წელია, გრძელდება:

– 2008 წლის 7 ოქტომბერს საინფორმაციო სააგენტო Day.Az-თან ინტერვიუში

„მხოლოდ რუსეთს შეუძლია კავკასიური ტიპის წრის გარღვევა!“ საქართველოში მოვლენათა განვითარების ექვსი შესაძლო სცენარი განვიხილე, რომელთაგან ერთი იტყობინება: „აშშ-მა, რომელმაც ვერ გაბედა ღია ფრონტით რუსეთთან დაპირისპირება 2008 წლის 8-12 აგვისტოს ხუთდღიან ომში და კავკასიისთვის პირველი ბრძოლა წააგო, ვერ მოხელთა სამხრეთ კავკასიისა და კასპიის გასაღები. გამოირცხვლი არაა, რომ ისინი „მეორე ეშელონს“ ამზადებდნენ და ისევ ჩვენი ხელით: ამჯერად პროვოცირებული იქნება ტერაქტები და პარტიზანული ომი ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც საბაბს მისცემს აშშ-ს ტერორიზმთან ბრძოლის დროით ქვეყანაში შემოიჭრას“;

– 2009 წლის 7 ოქტომბერს (ზუსტად ერთი წლის შემდეგ!) მე იგივე გავიმეორე პუბლიკაციაში „მისტერ ბუშის სტერი, ანუ რა საერთო აქვთ ჯორჯ ბუშსა და ბუბა კიკაბიძეს?“. „აშშ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის ხანაში „ლაშობდა საქართველოს პლაცდარმად გადაქცევის რუსეთის ჯერ სამხრეთ, შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიიდან განსაღვინდა: რფ-ის სამხრეთ საზღვრების გაკონტროლებას (რადიოსალოცაციო და სხვა დაზვერვა), პანკისის ხეობიდან დივერსიული ჯგუფების გადასროლას ჩრდილო კავკასიაში, იქაურ ბოევიკთა უზრუნველყოფას, საველე მეთაურებთან კავშირისა და სხვადასხვაგვარი ინციდენტების, ტერაქტებისა და პროვოცირების ინსპირირებას ამ ფთვქებად-საშიშ რეგიონში შემდგომი დესტაბილიზაციით. საბოლოო მიზანი – რუსეთის ფედერაციიდან ჩვენთვის, ინგუშეთის, გარაჩაევო-ჩერქეზეთის, დაღესტნისა და, შესაძლოა, ჩრდილოეთ ოსეთის უალტერნატივო გამოყოფისთვის სიტუაციის შექმნა იყო“;

– 2009 წლის 13 ოქტომბერს (მოსკოვში პილარი კლინტონის ჩასვლის დღეს!) რუსეთის ნაციონალური ანტიტერორისტიკული კომიტეტის თავმჯდომარე, რუსეთის ფს-ეს დირექტორმა ბორტნიკოვმა განაცხადა: „ბოევიკთათვის აღმოჩენილი აუდიო-ჩანაწერები მოწმობენ, რომ „ალ-ჟაიდას“ ემისრებმა დაამტარეს კონტაქტი საქართველოს სპეცსამსახურებთან, რომელთა მონაწილეობითაც ორგანიზება გაუკეთდა ტერორისტების მომზადებასა და გადასროლას ჩვენეთში. გარდა ამისა, ისინი გამუდმებით ცდილობენ იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ფინანსების მიწოდებას დაღესტანში დივერსიების განსახორციელებლად ნეთობსა და განსაღვინებზე“.

ხომ არ გვაფრთხილებს რუსეთი პილარი კლინტონის მოსკოვში ჩასვლის დღეს ისევე, როგორც შარშან, როცა რუსეთის ოთხი გამანადგურებელი 40 წუთის განმავლობაში დაფრინდა ცხინვალის თავზე, თბილისში რაისის ვიზიტის წინა დღეს?! განვავრძობთ:

– 2008 წლის 17 სექტემბერს, საინფორმაციო სააგენტო „НОВОСТИ - Азербайджан“-თან ინტერვიუში „რუსეთის საერთაშორისო იზოლაციის საიქიოს მითს წააგავს“, კორესპონდენტის კითხვაზე – რეალურია თუ არა, რომ სააკაშვილი ნებაყოფლობით გადადგეს და უბრძოლველად წავიდეს? – მე მივუგე: „ეს სავსებით რეალური იქნება, თუ ამის ხელისუფლებაში მისი მომყვანი ამერიკელები მოსთხოვენ. ახლა დაიწყება აქტიური სეპარაცია თავად დემოკრატიული საქართველოს პროექტისა მისი ხელმძღვანელის მიერ და სააკაშვილის ექნება შანსი, ნებაყოფლობით წავიდეს უსამართლობასთან მეტროპოლის შარავანდელი. თუ ეს სეპარაცია არ განხორციელდა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება თავად პროექტი“;

– 2008 წლის 14 ოქტომბერს ეს დავადასტურე პუბლიკაციაში „ნატო წადებულნი...“. „პრაქტიკულად, დაწყებულია აქტიური სეპარაცია – პროექტ „საქართველოს“ გამოჯენა მისი ხელმძღვანელის, სააკაშვილისგან, რათა გადარჩეს, თუ მთელი პროექტი არა, მისი ნაწილი მაინც – კადრები, რომელთა გაწვრთნა აშშ-ს სოლიდური თანხებით დაუჯდა და (გაგრძელება მე-5 გვერდზე)

# დავრენტი ბერია — ქართული ბერია



## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი

ყველაფერი ნათელია: 1938 წლის აგვისტოდან აღარ მოქმედებდნენ ორეული და სამეული — არასასამართლო ორგანო, რომელსაც სიკვდილით დასჯის უფლება ჰქონდა. განა სისულელე არ არის “დემოკრატებისა” და დასჯილთა შთამომავალი ისტორიკოსების მტკიცება იმის თაობაზე, რომ “ჯალათი ბერია შეცვალა ჯალათმა ყოვლამ” (როცა ეს პირიქით მოხდა).

მოდით კვლავ “კალინინის ოლქის მარტიროლოგს” დაუბრუნდეთ. მეორე სტატიაში ტვერის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი სმირნოვი წერს:

“1937-1938 წლების პოლიტიკურ ტერორში მოყოლილი და გადარჩენილი რეპრესირებულები ხშირად გვეკითხებოდნენ ჩვენც და საკუთარ თავსაც, თუ რა მიზეზით დაიღუპა მილიონობით საბჭოთა მოქალაქე. ამაზე პასუხის გამცემი ახლა აღარავინაა, მაგრამ ცხადია, რომ რეპრესირებით სტალინი საკუთარ პოლიტიკურ პოზიციებს იმაგრებდა და, ამავე დროს, წყვეტდა ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემას, რომელიც ერთბაშად დაატყდა თავს სახელმწიფოს...”

ამგვარი პასაჟი ისტორიკოსისათვის სამარცხინოა, რადგან აქ შედგენილია მისი არაკომპეტენტურობა და, სამწუხაროდ, მისი არაკეთილსინდისიერებაც...

სწავლულმა მხოლოდ ფაქტები კი არ უნდა შეავსოვოს, ის უნდა გაიაზროს. ნებისმიერმა ისტორიკოსმაც კი იცის, რომ სტალინი დიქტატორი არ იყო, და თანაც, ქვეყანაში სამასი წლის განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მისი მმართველობის ქაშს გახდა შესაძლებელი.

პროფესორი სმირნოვი არაა ანტონოვოვსკენი. იგი ამხუერებს ფაქტებს და თავად პასუხობს მათ, მიუხედავად მისი მტკიცებისა, რომ “ამაზე პასუხის გამცემი ახლა აღარავინაა”.

მინც რას გავუწევებს იგი? აი, რას: “1936 წელს სსრკ შინაგარეო ურთიერთობების და დახვეწის შემდეგ სახალხო კომისრად დანიშნა ნი. ელოვი... მასიურ დაპატიმრებებზე საბოლოო სანქცია (სამწუხაროდ, ესეც ისეთი სიცრუეა, რომლის გაუღებელია ისტორიკოსს არ ეკადრება — ს.კ.) გასცა 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმმა, სადაც სტალინმა მოუწოდა, რომ გაენადგურებინათ “მუშათა კლასის მტრები” და მოლაღობა ტყვეები. ამას მოჰყვა ელოვის ბრძანება ყოფილი კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარების შესახებ, რომელიც 1937 წლის 31 ივლისს დაამტკიცა სსრკ (ბ) ცკკას პოლიტბიურომ”.

აქ უნდა შევიტანოთ სიზუსტე... “ოპერაციის” ჩატარების თაობაზე დადგენილება არაფრით არ უკავშირდება არც 1937 წლის თებერვალ-მარტისა და არც ივნისის პლენუმებს.

მოგვიანებით ამის თაობაზე დაწერილებით მოვახსენებთ.

დაკვირვებული მკითხველი ალბათ შეამჩნევდა ზოგიერთ უცნაურობებს პროფესორ სმირნოვის ინფორმაციაში. პლენუმში მარტის დასაწყისში დამთავრდა და თითქოს გასცა კიდევ “დაპატიმრების სან-

ქციები”. ელოვი კი შესაბამის ბრძანებას იძლევა ივლისის მიწურულს. მხედველობაში გვაქვს შინაგარეო ურთიერთობების 30 ივლისის ოპერატიული ბრძანება №00447, შესაძლებელია ამავე წლის 15 აგვისტოს №00486 ბრძანებაც. რამ გამოიწვია ასეთი დაყოვნება?

იმან, რომ არავითარი “დაყოვნება” არ ყოფილა. და უნდა იცნოთ, რათა მიჩქალოთ იმ დროის მოვლენათა დინამიკა. თებერვალ-მარტის პლენუმსა და ელოვის ბრძანებებს შორის იყო კიდევ ერთი პლენუმი. იქნებ ელოვის ბრძანება სწორედ ამ პლენუმის გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა?

ახლავე უნდა გავაფრთხილო მკითხველი, რომ “დემოკრატი” ისტორიკოსები შეგნებით თუ შეუგნებლად არ აერთიანებენ ორ მასიურ პროცესს — 1937-1938 წლის მასიურ რეპრესირებს და ამავე წლებში საბჭოთა არმიის რიგებში ჩატარებულ წმენდას.

სახვასმით აღვნიშნავ, რომ ერთმანეთში იღრევა საზოგადოების დაბლა ფენებში არსებული შესაძლო “მესუთე კოლონის” ლიკვიდაციის და მაღალ წრეებში არსებული კონკრეტული ანტისახელმწიფოებრივი (ანტისტალინური) შეთქმულების ლიკვიდაციის მოვლენები.

რეპრესირების ეს ორი ტალღა ერთდროულად ავორდა და, რა თქმა უნდა, გარკვეულ კავშირში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან. მაგრამ, მათი შინაარსს რომ ჩავევლოთ, ისინი აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან.

მაგრამ კვლავ სმირნოვის სტატიას დაუბრუნდეთ: “ელოვის ბრძანების თანახმად 5 აგვისტოს დაიწყო ყოფილი კულაკების, აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეპრესირები... კალინინის ოლქში პირველი კატეგორიის სიით დააპატიმრეს 1.000 ადამიანი. ისინი ყველა უნდა დაეხვეწიდათ. მეორე კატეგორიის მიაკუთვნეს 3.000 ადამიანი, რომელთაც სამეულთა მიერ მიესაჯათ 8-დან 10 წლამდე პატიმრობა. სიები გასაიდუმლოებული იყო. “ოპერაცია” უნდა დაემთავრებულყოფ 4 თვეში — 1937 წლის 5 დეკემბერს”.

პროფესორი სმირნოვი ადასტურებს, რომ ამ საერთო-სახელმწიფოებრივი აქციის მიზანი ფრთხილ კონკრეტული და გასაგები გახლდათ: უნდა ჩატარებულიყო ყოფილი კულაკების, ანტისაბჭოთა ელემენტების და დამნაშავეების რეპრესირები. ისიც ნათელი იყო, თუ რატომ ხდებოდა ყოველივე ეს 1937 წელში.

საერთაშორისო მდგომარეობა მაშინ მწვევადებოდა — კოსმოპოლიტური ძალები ამხადებდნენ მორიგ მსოფლიო ომს შემდეგი მიზნების განსახორციელებლად:

— ამერიკის კაპიტალის ევროპაში დამკვიდრება და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მსოფლიო ჰეგემონობის მიღწევა;

— საბჭოთა კავშირის განადგურება ან მისი დასუსტება;

— გერმანიის, როგორც ამერიკის ძირითადი კონკურენტის მაქსიმალურად დასუსტება.

ამრიგად, ამ მრისხანე მოვლენების წინ აუცილებელი იყო პოტენციური “მესუთე კოლონის” ნეიტრალიზება (სამწუხაროდ, მისი ფიზიკური განადგურების გზითაც). ეს მცნება მსოფლიოში 1936 წელს გაჩნდა, როცა ფრანკო ოთხი კოლონი უტყვევდა მადრიდს, სადაც მას ჰყავდა ე.წ. “მესუთე კოლონა” მსტოვრების, დივერსანტებისა და ჯაშუშების სახით.

“დემოკრატიული” მასობრივი ინფორმაციების წყალობით დღემდე არაა ცნობილი ის ფაქტი, რომ გერმანიის მხარეზე “ნებაყოფლობით” იბრძოდა ჩვენი 800.000 ჯარისკაცი და ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზარდებოდა, ჩვენდამი არალოიალურად განწყობილი ბევრი საბჭოთა მოქალაქე 1942 წელში არ დაღუპულიყო. მხოლოდ

“SS“-ის ჯარებში მსახურობდა საბჭოთა კავშირის ყოფილი 150.000 მოქალაქე. ამას ემატებოდნენ ვერმახტის სამხედრო მოსახლურები, მსტოვრები, პოლიციელები, საოკუპაციო დაწესებულებათა თანამშრომლები, ვლასოველები...

ამიტომ ხდებოდა საბჭოთა კავშირში არასაიმედო ელემენტთა რეპრესირები, და ეს რომ არ მომხდარიყო, მაშინ ომის დროს გერმანიის მხარეზე გადავიდოდა არანაკლებ 3 მილიონი საბჭოთა მოქალაქისა...

გარდა საგარეო-პოლიტიკურისა, 1937-ში სიტუაცია შიდაპოლიტიკურმა მიზეზებმაც გაამწვავა.

ამიტომ, ჩვენ არ შეგუდებით იმის მტკიცებას, იყო თუ არა აუცილებელი ამ რეპრესირების ჩატარება, რადგან...

მისი ჩატარება აუცილებელი იყო! სხვა საქმეა, რომ ამ მასშტაბურ ღონისძიებას შეეწირა ბევრი (მაგრამ არც იმდენად ბევრი) უდანაშაულო ადამიანი. აქ როლი ითამაშა რამდენიმე ფაქტორმა.

1. გარდაუვალი შეცდომები... “დემოკრატებს” რატომღაც ავიწყდებათ, რომ ექიმთა “უნებელი შეცდომათა” წყალობით 1946 წელს დაიღუპა კალინინი, 1948 წელს — უღანოვი. დაგვეთანხმებით, დამნაშავის დიაგნოსტიკა ბევრად ძნელი საქმეა, ვიდრე იმის დადგენა კარდიოგრამით — აქვს თუ არა ადამიანს ინფარქტი, როგორც ეს უღანოვის შემთხვევაში იყო.

2. პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელობასა და შინაგარეო ურთიერთობებში მოკალათებულ შენიღბულ ანტისაბჭოთა (მემარჯვენეებისა და ტროცკისტების) პირდაპირი პროვოკაციები, პირველივე შესაძლებლობის გამოყენება საბჭოთა წყობისა და სტალინის ავტორიტეტის შესახად. სწორედ ამ ბრალდებით აიყვანეს ერთი პირველი კალინინის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ვრ. დომბროვსკი.

3. საღალატეობის მიერ პირადი ანგარიშწორება, რომლებიც თხზავდნენ ვაღბ ბრალდებებს, რომელსაც ბოლომდე არავინ იკვლევდა, იშვიათად კი მართლდებოდა.

შინაგარეო ურთიერთობის განათლება და დაბალი ინტელექტი (განათლებული ხალხი კი ბოლშევიკებს გაექცნენ და ახლა ან პარიზში მსახურობდნენ ტაქსის მძღვლებად, ან სტამბულის ბორდელებში მუშაობდნენ).

ელოვი თქვა ახალგაზრდა ჩეკისტებთან შეხვედრისას 1937 წლის 11 მარტს: “ჩვენ არ გვყავს კვალიფიციური კადრები, იმდენად ბნელი არიან, რომ მათი ნაწერიდან ვერაფერს გაიგებ”.

4. პროცენტმანიას, რაც რუსეთში ყოველთვის მძლავრობდა.

5. შინაგარეო ურთიერთობებში უცხო-ოტომელთა (განსაკუთრებით ებრაელები) დიდი რიცხვი. ეს ფაქტორი არ იყო დიდად მნიშვნელოვანი, მაგრამ გარკვეული როლი ითამაშა რეპრესირების შედეგების გაზვიადებაში.

და მე ყველა ფაქტორი არ ჩამომითვლია!

ახლა თუ ისე, რაღაც სახით გამაფრთხილებელი რეპრესირების ჩატარება ისტორიულად დროული და აუცილებელი იყო. მათ შორის კალინინის ოლქშიც. და, სხვათა შორის, არა მხოლოდ პოლიტიკურ ასპექტში! თავად პროფესორი სმირნოვი წერს:

“უნდა აღვნიშნოს, რომ კალინინის საოლქო შინაგარეო ურთიერთობებში ჩაატარა “წმენდის” ოპერაციები და ოლქი გაანთავისუფლა სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ყაჩაღობების, მარცვის, შერი-არადებული თავდასხმების და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულოთა რიცხვი... გასამართლდა პირველი კატეგორიის 525 რეციდივისტი და 588 მეორე

კატეგორიის რეციდივისტი, სულ 1.113 სისხლის სამართლის დამნაშავე”

ამასთან, პროფესორი სრულიად არ გამოთქვამს აღშფოთებას 525 ბანდიტის დახვეწის გამო და იწონებს კიდევ ამას. ისინი კი, ძვირფასო მკითხველო, დახვეწეს ყოველგვარი სასამართლო დაუიღარაბის გარეშე — “სამეულებს” არასასამართლო გადაწყვეტილებით.

მაგრამ სულ რამდენი ადამიანი დაიხვია კალინინის ოლქში? შეგახსენებთ, რომ ცენტრის საწინა “ლიმიტი” გახლდათ 1.000 ადამიანი (პირველი კატეგორიის რეციდივისტი) და 3.000 ადამიანი (მეორე კატეგორიის), რითაც დასრულდა 1937 წელი.

პროფესორი სმირნოვი კი წერს:

“ე.წ. ოპერაცია გრძელდებოდა არა ოთხ, არამედ რვა თვეს და გასამართლდა არა სამი ათასი, არამედ 10.200 ადამიანი... აქედან პირველი კატეგორიის იყო 4.587 კაცი, მეორისა კი — 5.613”.

5.613 ადამიანს თუ გამოაკლებ 588 ბანდიტს, მივიღებთ 5.025 კაცს, რომელთა დანაშაულობა სადავოა (დაეუშვათ ასეა). 4.587 კაცს გამოაკლოთ 525 ბანდიტი, მივიღებთ 4062 დახვეწილს. რაც ასევე “პრობლემატურია”.

არც თუ ისე მცირე რიცხვია.

ადამიანთა სისხლი წყალი ხომ არ არის.

მარტიროლოგში ძირითადად ჩამოთვლილია შემდეგი სპეციალობის ადამიანები: “მარტოხელა გლეხი, კოლმეურნეობის წევრი, მჭვლედი, გლეხი, წყალკანაღის” მემანქანე, “ზაგორსეროს” სანოპუნქტის მწნეხავი, კოლმეურნეობის მეჯინიბე, ტყის მჭრელი, ელექტრომონტიორი...”

თუმცა მათ ანექტებში ხშირად აღვნიშნული: “ადრე ნასამართლევი, ამჟამად უსაქმური...”

ავიღოთ გაბრიელ გერასიმეს ძე ფ. ვორონევის ოლქის, სტრელცეკის რაიონის დაბა კახაკის მცხოვრები, საღვურ საველოოს ვაგონების თვლების მხეთავი...

დაპატიმრებულია 1938 წლის 4 თებერვალს და დახვეწა მისეჯა მოსკოვის ოლქის შინაგარეო ურთიერთობის დადგენილებით. უცნაურია, კაცი სამხრეთში დაიბადა და ჩრდილოეთს მიაშურა. კულაკი ხომ არ არის?

ასევე ყურადღებას იქცევს ვიღაც, 1898 წელს დაბადებული ნიკოლოზ გიორგის ძე ავდეენკოს საქმე, რომელიც 1937 წელს “აიყვანეს”.

“ავდეენკო ნიკოლოზ გიორგის ძე, დაიბადა 1898 წელს კალინინის ოლქის ქალაქ რევეში, უპატრიო, ავანტიურული მონაცემებით “ამფეთქებელი”, მუშაობს რევეის ბაზის საგარეო უფროსის მემანქანედ, გასამართლდა “სამეულის” მიერ, მიესაჯა დახვეწა. 1989 წელს ტვერის საოლქო პროკურატურის მიერ მოხდა მისი რეაბილიტაცია”.

მაგრამ აქ აუცილებელია გავვცნოთ “ამფეთქებელ” ავდეენკოზე შედგენილ ცნობას.

“ცნობა “ამფეთქებელ” ავდეენკოზე ავანტიურული მონაცემებით შედგენილ საქმესთან დაკავშირებით — შედგა 1936 წლის 20 დეკემბერს.

1. ავდეენკო ნიკოლოზ გიორგის ძე, დაბადებული 1898 წელს, მუშაობს რევეის ბაზის საგარეო უფროსის მემანქანედ.

ავდეენკო გასამართლებულია ხულონობისათვის, მეორეჯერ კი გაასამართლეს მატარებლის რკინიგზის ლიანდაგიდან გადაგდებისათვის. აქვს ანტისაბჭოური განწყობა. კალინინის ოლქის სოფელ სელიფაროვოს რესტორან-სასაიდლოში სთავაზობდა მოქალაქე მაკარ არსენის ძე შურიკოვს, რომ მონაწილეობა მიეღო კალინინის ოლქში მდინარე ვოლგაზე გადაებული რკინიგზის ხიდის აფეთქებაში, სთავაზობდა აგრეთვე მას ფულს ტანსაცმლის შესაძენად, რაზედაც შარიკოვმა უარი განუცხადა.

გაგრძელება იქნება

რომელთა ინტერესები უკვე ეწინააღმდეგება თავად სააკაშვილის ინტერესებს“;  
– 2008 წლის 14 თებერვალს (იმავ დღეს) თბილისში, სასტუმრო «Radisson»-ში გამართულ კონფერენციაზე ქართული ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს „საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის საქართველოს განმჯვინის“ კომპანიის დაწყების შესახებ.

მაშ, განა სამართლიანად არ ვაცხადებ, რომ ქართული ოპოზიციის მთელი სპექტრი ინერციით ბუშის ქუჩაზე თავდადება მიეძინება? განვადროთ:

– ა. წ. 10 თებერვალს ციურისში თურქეთმა და სომხეთმა, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის – ჰაიეირ სოლანას, საფრანგეთისა და სლოვენის საგარეო საქმეთა მინისტრების – ბერნარ კუმენისა და სემუელ ჟოგარის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – სერგეი ლავროვისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის – ჰილარი კლინტონის თანდასწრებით (რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ კინაღამ ჩაშლილ დონისიძეებზე) ხელი მოაწერეს „დიპლომატიის თანამშრომლობის განვითარების“ ოქმს. როგორც ინფორმირებული წყაროებისგან შევიტყვევებ, აშშ კატეგორიულად ითხოვს სომხეთ-თურქეთის საზღვრის ადგიანას არა უგვიანეს ა. წ. დეკემბრისა;

– ა. წ. 13 თებერვალს ჰილარი კლინტონმა მოსკოვში ვიზიტისას განაცხადა, რომ ამერიკა იმედოვნებს სტრატეგიული საიერიშო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალ შეთანხმებაზე მუშაობის დასრულებას ა. წ. 5 დეკემბრამდე, რადგან ძველს ვადა 5 დეკემბერს იწურება;

– ა. წ. 14 თებერვალს რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ – ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა ითვალისწინებს ბირთვული იარაღის გამოყენებას ლოკალურ ომებსა და კონფლიქტებში პრევენციულ ბირთვულ იერიშად ანდა მოწინააღმდეგის აგრესიის საპასუხოდ ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის

# რაზაა ბაასი, ანუ რაზომ დასჭირდა ერთი კაი ბასი...

გამოყენებით. დოქტრინის რედაქცია დასამტკიცებლად წარედგინება რუსეთის პრეზიდენტს ა. წ. დეკემბერში.

ბავშვიც კი მიხვდება, რომ ეს შემთხვევითობათა უბრალო ჯაჭვი არ არის, რომ აშშ (ანუ სომხური ლობი ამერიკულ კონგრესში) დაინებით ითხოვს სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნას არა უგვიანეს მიმდინარე წლის დეკემბრისა, რათა საქართველოში, შესაძლო დესტაბილიზაციის შემთხვევაში, ჰქონდეს საქართველოს მარშრუტის ალტერნატიული გზა სომხეთისკენ თურქეთის გავლით! საქართველოს, რომელიც „აღქადასთან“ კავშირში დაადანაშაულებს, ბოვეიკთა ბუდე, ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტთა, იარაღისა და ფინანსების გადასასროლი სატრანზიტო ზონა უწოდებს, ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციის შემთხვევაში, შესაძლოა კიდევ ერთხელ იქცეს „ცხელ წერტილად“! ასევე, საქართველოს წინააღმდეგ შესაძლოა, გამოიყენონ საერთაშორისო სანქციები, თუკი მის ტერიტორიაზე აკრძალული ეპიდემიოლოგიური იარაღის – ბუშის ბაქტერიის არსებობა დადასტურდება (განსაკუთრებით საშიში ვირუსების ბანკი, რომელიც აქ ბუშის განკარგულებით შემოიტანეს ერაყში გადატანის მიზნით, რათა გაემართლებინათ ამერიკელების იქ შეჭრა)! ორივე შემთხვევაში საქართველოს საზღვრები დაიკეტება, ხოლო, თუ სანქციებს ირანსაც დაუწესებენ, სატრანსპორტო მარშრუტი თურქეთის გავლით სომხეთისთვის ჰქმნარტ სიცოცხლის გზად იქცევა.

ეს ყველაფერი თვალსაჩინო მაგალითი გახდება უკრაინისთვის 2010 წლის 17 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ. განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება, ისევე, როგორც ნებისმიერი კომპრომატი ბუშსა და მისი კაბინეტის წევრებს, ხელს

აძლევს ამჟამინდელ ადმინისტრაციას, დემოკრატიულ უმრავლესობას კონგრესში და აშშ-ის პრეზიდენტს: ბარაკ ობამას ესმის, რომ უკვე თავისი პრეზიდენტობის ფაქტით, რუსეთთან თანამშრომლობით, ბუშისა და მისი რესპუბლიკელების მიერ ერაყსა და ავღანეთში განაღებული ომის დასრულების სურვილით მან აიძულდა რასისტებიც, მილიტარისტებიც, პენტაგონისა და CIA-ს (ცერ-უ-ს) ელიტაც, ოლიგარქებიც, რომლებიც სამხედრო შეკვეთებზე მილიარდებს მოულობენ, და ნარკო-მოვაჭრებიც, და, თუ ის საბოლოოდ არ მოახდენს ამერიკელი ხალხისა და მსოფლიო თანამეგობრობის თვალში მათ დისკრედიტირებას, არ გაამწესებს განსასჯელთა სკამზე, მას შესაძლოა ჯონ კენედის ბედი ეწიოს...

ამიტომ დაინიშნა სპეცპროკურორი აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის საქმეზე.

ამიტომ არ შევიდნენ რუსული ჯარები თბილისში 2008 წლის აგვისტოში – სხვაგვარად აშშ-ში გამართულ არჩევნებზე გამარჯვებულნი არა დემოკრატები და ობამა, არამედ რესპუბლიკელები და მაკკეინი, რომელიც საქართველოს ორი ხესახელმწიფოს შეჯახების არენად გადააქცევდა და და მსოფლიოს ბირთვულ კატასტროფამდე მიიყვანდა!

თუცა არსებობს პრობლემის გადაჭრის ერთი ოპტიმალური გზა: თუ მომავალში პოლიტიკურ სცენაზე გამოვლენ აუცილებელი რესურსის მქონე პერსონალები (ნაციონალურად ორიენტირებული, ავტორიტეტული რუსეთშიც და საქართველოშიც, პროფესიონალები, მაღალი ინტელექტისა, პოლიტიკური გამოცდილებისა და შორსმხედველობის მქონე), რომლებსაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ადგიანის რეალური პროექტი აქვთ და მათი აქტიურობა მონაწილეობით დაიწყება ჩვენი ქვეყნების

ხელისუფალთა შეხვედრები, მაშინ მოვლენები სასურველი, მაგრამ საცხებით ახალი მიმართულებით განვითარდება!

P.S. ა. წ. თებერვალში, მოსკოვში ჰილარი კლინტონის ვიზიტისას, თბილისში ჩამოვიდა აშშ-ის ახალი ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, რომელსაც ტყუილდებოდა როდესაც უწოდებენ „კრიზისის მენეჯერს“: გაშინტონის ადმინისტრაცია მას სამუშაოდ, ჩვეულებრივ, ცხელ უბნებსა და ცხელ წერტილებში აგზავნის: ის მონაწილეობდა თურქეთისა და კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირებაში, ნატოსა და რუსეთის მონაპარაკების პროცესში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ევროპაში, ხელმძღვანელობდა ბადდადის ადგიანაზე მომუშავე სამთავრობო გუნდს ერაყში, ხელმძღვანელობდა სახელმწიფო დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების ოპერატიულ ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს აშშ-ის საელჩოს თანამშრომელთა და მათი ქონების დაცვას (ევაკუაცია) საგანგებო სიტუაციებში (!). ამჯერად ბასის ელჩად გამოგზავნა ადასტურებს ხე-მონამთვლილ პროგნოზებს და არცთუ „მოსაწყენ“ ზამთარს გვიპრდება...

თუცა საქართველოში აშშ-ის საელჩოს ევაკუაციამდე საქმე არ მივა და ბასს არ მოუწევს „კრიზისის მენეჯერის“ როლის შესრულება, თუკი ბოლო ექვსი წლის ჩემი პუბლიკაციების მთავარი გმირი განცხადებას „საკუთარი სურვილით...“ ანდა „ჯანმრთელობის მდგომარეობით“ დაწერს (მეორეს არ ვუსურვებ, რადგან «личную неприязнь»-ს არ განვიცდო)...

საინტერესოა: რა მოგვიტანა „ნისკარტით“ რესპუბლიკელებმა „შეგადგენმა“ მაკეინმა, რომელიც ამას წინათ გვეწვია? „პროექტის“ დასრულების აქტი თუ „შავი დამა“? ან იქნებ, გუანტანამოს ტუსაღებისთვის ქუთაისის ახალმოწყობილი ციხის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოსაწერად ჩამოვიდა და ამავდროულად თავისთვის, ჩეინისა და ბუშისთვის „კამერაც“ შეარჩია?

არნო ხიდირბეგიშვილი

## წერილი ლაზ მძებს!

ქართველი ხალხი ქართული სახელმწიფოებრიობის 3.000 წლის იუბილისათვის ემზადება.

ჩანს, ქართველმა მეცნიერებმა შეაჯერეს პოზიციები და ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწესად კოლხეთის სამეფოს ეპოქა აღიარეს.

ეს შეტყვევებს იმაზე, რომ ქართველი მეცნიერები ახალი კატეგორიებით აზროვნებენ, ვინაიდან, ფაქტობრივად, ეს არის ერთდღერთი შემთხვევა, როდესაც დასავლეთ საქართველოში არსებულ მოვლენას ზოგადქართული მნიშვნელობა ენიჭება.

მართალია, მეცნიერები, ძირითადად იმ აზრს ემხრობიან, რომ ბერძნებმა ვერსიის სამეფოს კოლხეთის სამეფო და მის მკვიდრ მოსახლეობას ეგრებს (მეგრელებს) კოლხები დაარქვეს, მაგრამ თუ გავი-აზრებთ პეროდოტეს (ძვ. წელთაღრ. V საუკუნე) ცნობას იმაზე, რომ ტერიტორია ფახისიდან კასპის ზღვამდე უკავიათ მხოლოდ კოლხებს, შესაძლებელია, კოლხეთის (ვერსიის) სამეფოს ქვეშ მთელი სამხრეთ კავკასია მოიაზრებოდეს.

შედიოდა თუ არა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველო კოლხეთის (ვერსიის) სამეფოს შემადგენლობაში, ეს სხვა საკითხია, მაგრამ საქართველოს ისტორია იყო ისტორია მუდმივი ომებისა, საქართველოს გადასარჩენად და ქართული გენის, ჯიშისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

მართლაც, თავისი არსებობის მანძილზე, კოლხეთის (ვერსიის) სამეფოს არაერთი დაცემა-აღზევება განუცდია. მართალია, მთელი დასავლეთ საქართველოს, ერთიანი ვერსიის (კოლხეთის) სამეფო სრულიად კანონზომიერად შევიდა ერთიან საქართველოს სამეფოში (XI საუკ.), როდესაც საქართველომ გამორჩეულ სიძლიერეს მიაღწია, მაგრამ ერთიანი სამეფო მალე დაიშალა (XV საუკ.) და, მომდევნო ეპოქაში, მთელი რიგი ქართული მიწები დაიკარგა.

მათ შორის ერთ-ერთი დიდი დანაკარგი იყო ლაზიკა – თამარ მეფის ეპოქაში მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ტრაპიზონის

## ლაზიკა, ლაზები – უდიდესი ქართული ტიპილი

იმპერია, რომელშიც შევიდა ლაზიკის ძირითადი ნაწილი (1203 წ.).

თითქოს ეს მოხდა თამარ მეფის მხარდაჭერით და ტრაპიზონის იმპერიის სათავეში აღმოჩნდნენ მისი ნათესავები, ბერძენი კომნენები, მაგრამ ამის შემდეგ, ლაზიკა, ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიაში აღარ მოიხსენიება.

ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც ისევ დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, გურიის საერისთავო, შემდგომში სამთავრო წარმოიჩინა.

ხოლო მას შემდეგ, რაც ტრაპიზონის იმპერია ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო, ლაზიკა და ლაზები საბოლოოდ მოწყდნენ მშობლიურ საქართველოს.

სწორედ ამით დაიწყო საქართველოს მკვიდრი ნაწილების დაკარგვა, შემდგომში, ლაზიკას მიჰყვა მესხეთ-ჯავახეთი და აჭარა. ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარი ახლადშექმნილ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რუსეთთან ე.წ. შეერთებას, მთელ რიგ უარყოფით ასპექტებთან ერთად, გარკვეული დადებითი მოვლენებიც მოჰყვა – XIX საუკუნის ბოლოს, მესხეთ-ჯავახეთის ნაწილი და აჭარა ისევ დაუბრუნდა საქართველოს, მაგრამ დანარჩენი ტერიტორიები და მშობლიური ხალხისაგან მოწყვეტილი ქართველები ერის მუდმივ ტყვედ აღარჩნენ.

ბუნებრივია, ის მიწა, სადაც თქვენ ცხოვრობთ, საქართველოს ისტორიული ნაწილი, თქვენი დიდილი სამშობლოა, მაგრამ მშობლიური ხალხისაგან მოწყვეტა ძალიან მიძიმე.

ყველა ქართველს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მათი ძმები, ისევე ქართველები, როგორებიც თვითონ იყვნენ, მოწყვეტილნი არიან მშობლივ ხალხს და უცხო ატმოსფეროში ცხოვრობენ.

ჩვენ შეგნებული გვქონდა თქვენი გულისტკივილი, რასაც სამშობლოსთან, მშობლიურ ხალხთან ურთიერთობის გაწყვეტა იწვევს.

ღირსეული ერისკაცები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები გულმოდგინედ გვიხერგებდნენ თქვენადმი სიყვარულსა და თანაგრძნობას.

დღესაც მახსოვს, სკოლაში ქართველი პოეტის ილო მოსაშვილის პიესა – „ზადირული ქვები“ რომ წავგიკითხეს, ბავშვები გახუსული და თვალცრემლიანი ვისხედით, შეგვკრა მიუწვდომელი სამშობლოსადმი ჩვენი თვისტომის, ჩვენგან შორს მყოფი ლაზი ამის უდიდესმა ნატვრამ, სიყვარულმა და ტკივილმა.

ეს დაიდგა საქართველოს უპირველეს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, იდგებოდა სხვა თეატრებშიც.

ჩვენ აღფრთოვანებული ვიყავით და ვართ თქვენი ღირსეული წინაპრების უდიდესი დეაწლით, მათ ხომ წარმოუდგენელი თავადების ფასად შევიტარჩუნეს ეროვნული მეობა, რწმენა. შთაგაცონეს, რომ თქვენი სამშობლო საქართველოს ნაწილია და თქვენც, წარმოშობით, ქართველი ხართ.

თითქმის გამორიცხულია, ნებისმიერი საღად მოაზროვნე პიროვნება არ აღაფრთოვანოს იმ მოვლენამ, რომ დღევანდელი თაობის წარმომადგენლებიც ამ ტრადიციების ერთგული დარჩი.

ეს იმეთაობა მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში.

მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ იმ ერებიდან, რომლებმაც გამორჩეული მისია შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში, ეს იქნებოდა ეგვიპტე, შუმერი, ხეთები, ურარტუ თუ სხვა, ბევრი გადაშენდა, მაგრამ საქართველო გადაარჩა.

გვგვარავე შეა, რომ ეს ჩვენი ღირსეული წინაპრების დამახსურებაა, მათ სისხლის

ფასად შეგვიწარმუნეს სამშობლო და ეროვნული თვითმყოფადობა, მაგრამ მაინც ამოუცნობია ქართველი ერის გადარჩენის ფენომენი.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს და ქართველი ხალხის გადარჩენის საიდუმლოს ახსნა, სწორედ ლაზების ავბედით ისტორიაშია – შვიდი-რვა საუკუნე მშობლიური ხალხისაგან მოწყვეტის მიუხედავად, ლაზებმა შესძლეს შეენარჩუნებინათ ჯიშით, ენა, მეტყველება ტრადიციები, გვარები და, რაც მთავარია, რწმენა, დიდი სიყვარული თავისი ისტორიული სამშობლოსა და მშობლიური ხალხის მიმართ.

თქვენ დღეს დემოკრატიულ თურქეთში ცხოვრობთ და, შეიძლება, სრულად ვერ აღიქვამთ, თუ რამდენად რთული იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს კარგად იცანთ თქვენმა ბრძენმა უხუცესებმა.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში, თითქმის XX საუკუნემდე ეროვნება არ ფიქსირდებოდა, ეროვნების განმსაზღვრელ კრიტერიუმად ითვლებოდა პიროვნების სარწმუნოება.

ისევე, როგორც ღებოდა ოსმალეთის იმპერიაში, მეჩეთში მონათლული ადამიანი ითვლებოდა ოსმალად, საქართველოშიც, მართლმადიდებელურ ეკლესიაში მონათლული ითვლებოდა ქართველად, გრიგორიანულ ეკლესიაში – სომხად, რუსულ ეკლესიაში – რუსად, სინაგოგაში – ებრაელად და ა.შ.

სხვათა შორის, ტრაპიზონის იმპერია (XIII-XV საუკუნეები), რომელიც შეიქმნა თამარ მეფის ინიციატივით და მის სათავეში ქართული სამეფო სავარჯულოს ნათესავები, კომნენები იმყოფებოდნენ, ფაქტობრივად, ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა. იქ მცხოვრები, მართლმადიდებელურ ეკლესიაში მონათლული ლაზ-ჭაჩაჩები ბერძნებად მოიხსენიებოდნენ.

ანზორ შონია, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი, „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სივრცის უფლების ხელყოფა საქართველოში სამწესიარო სტატისტიკა

ძალადგანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ სივრცის მოსპობის ფაქტების არასრული სია

2003 წელი

- 1. დავით საყვარელიძე – გარდაიცვალა ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთან შეჯახების შედეგად;
- 2. ეთერ წულიაშვილი – გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთან შეჯახების შედეგად (ამავე ავარიის მიხედვით მცირეწლოვანი შეილიც დაზიანდა);
- 3. გიორგი ინასარიძე – თბილისში, შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამოხრჩვალა იპოვეს.

2004 წელი

- 1. თათარ გველუკაშვილი – მოკლულ იქნა გურჯაანის რაიონში, სოფ. კარდენახში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
- 2. ანტონ კუკულაძე – მოკლულ იქნა თბილისში დაკავებისას;
- 3. დიკო ბარბაქაძე – მოკლულ იქნა ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
- 4. ზაზა ფანცქალაძე – მოკლულ იქნა ზუგდიდის რაიონში სპეციალური ოპერაციის განხორციელებისას;
- 5. ევგენი აფრასიძე – მოკლულ იქნა მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
- 6. ომეხ აფრასიძე – მოკლულ იქნა მესტიის რაიონის სოფელი ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
- 7. ხეივანი კვიციანი – თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ში, დაკავების შემდეგ პოლიციელების მიერ სახლში მიყვანიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა;
- 8. ალექსანდრე გომიშვილი – მოკლულ იქნა კახეთში დაკავებისას;
- 9. ამირან (ბუტა) რობაქიძე – ხელებაწვეულ მდგომარეობაში იქნა მოკლული თბილისში, წერეთლის გამზირზე პატრულ-ინსპექტორის მიერ;
- 10. მურთაზ ქარაძე – ოფიციალური ვერსიით, მოკლულ იქნა უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის – ენრიკო სიმონიანის მიერ მის ოჯახზე თავდასხმისას;
- 11. თემურ ხუბუნია – ოფიციალური ვერსიით, მოკლულ იქნა უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის ენრიკო სიმონიანის მიერ მის ოჯახზე თავდასხმისას;
- 12. სულხან ლომიძე – მოკლულ იქნა ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს.

2005 წელი

- 1. ვლადიმერ ხოშტარია – მოკლულ იქნა თბილისში დაკავებისას;
- 2. აკაკი კორკოტაშვილი – მოკლულ იქნა გურჯაანის რაიონში სპეცოპერაციისას;
- 3. ავთო გუმაშვილი – მოკლულ იქნა ახმეტის რაიონის სოფელ ღუისში სპეცოპერაციისას;
- 4. ვახო გუმაშვილი – მოკლულ იქნა ახმეტის რაიონის სოფელ ღუისში სპეცოპერაციისას;
- 5. ვახტანგ მარგოშვილი – ოფიციალური ვერსიით, მოკლულ იქნა ქვემო ქართლში, სოფ. ვახტანგისთან სახლურის უკანონოდ გადაკეთებისას;
- 6. რევაზ ცალანი – მესტიის რაიონში სპეცრაზმელების მიერ სასტიკად ცემის შემდეგ ლოგინს მიუჯახა;
- 7. ვარლამ ნემსიწვერიძე – მოკლულ იქნა თბილისში მძევლის გათავისუფლებისას;
- 8. ნესტორ ვესბუა – მოკლულ იქნა აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
- 9. გია ოკუჯაძე – მოკლულ იქნა აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
- 10. თემურ ცეკვაძე – მოკლულ იქნა აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
- 11. თამაზ კურკუმელი – მოკლულ იქნა თბილისში, მუხიანის დასახლებაში სპეცოპერაციისას;
- 12. ალექსანდრე თაბაგარი – მოკლულ იქნა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩონჩხათში;
- 13. ხეივანი მელაძე – მოკლულ იქნა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩონჩხათში;
- 14. გიორგი კვიციანი – მოკლულ იქნა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;
- 15. გიორგი მანჯავიძე – მოკლულ იქნა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;
- 16. ლევან გულუა – მოკლულ იქნა თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას;
- 17. რეზო სარჯველაძე – მოკლულ იქნა თბილისში დაკავებისას;

2006 წელი

- 1. მურად გორგაძე – მოკლულ იქნა თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
- 2. რომან სურმანიძე – მოკლულ იქნა თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
- 3. მარად ართმელაძე – მოკლულ იქნა თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
- 4. სანდრო გირგვლიანი – მოკლულ იქნა თბილისში, ოქროყანაში, შსს-ს თანამდებობის პირთა ჯგუფის მიერ მიყენებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად;
- 5. გია (გიორგი) თელია – მოკლულ იქნა თბილისში სპეცოპერაციისას;
- 6. ჯემალ ჩაფიძე – მოკლულ იქნა თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში, პოლიციის მიერ დაკავებისას;
- 7. ზვიად ბაბუნაძე – მოკლულ იქნა ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;

- 8. ბუთხუზ კიხია – მოკლულ იქნა ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
- 9. ვალერი ბენდელიანი – მოკლულ იქნა ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
- 10. ზურაბ ვახაგაშვილი – მოკლულ იქნა თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტთან, სპეცოპერაციისას, რაშიც 100-ზე მეტი პოლიციელი და შსს-ს სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ;
- 11. ალექსანდრე (საშა) ხუბულოვი – მოკლულ იქნა თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტთან, სპეცოპერაციისას, რაშიც 100-ზე მეტი პოლიციელი და შსს-ს სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ;
- 12. მიხეილ (მიშკო) ბერძენიშვილი – მოკლულ იქნა საგარეო უშიშროების დაკავებისას;
- 13. გელა ცინდელიანი – მოკლულ იქნა მესტიის რაიონის სოფ. ჭუბურში სპეცოპერაციისას;
- 14. ჯაბა ჯაბანიშვილი – დაჭრილ იქნა ბორჯომში 21 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციისას, რის შედეგადაც გარდაიცვალა;
- 15. ხეივანი კოკია – მოკლულ იქნა ხობის რაიონში სპეცოპერაციისას;
- 16. ვალერი (ვარლამ) ფხაკაძე – გარდაიცვალა ქუთაისში დაკავებისას მიყენებული ჭრილობის შედეგად, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოლიციელებმა არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

2007 წელი

- 1. მიხეილ კირაკოსიანი – მოტოციკლის განერების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემდეგ მოკლულ იქნა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ ახალციხის რაიონში;
- 2. გიგა ჭარბაძე – თელავში დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც პატრულ ინსპექტორი მართავდა;
- 3. ალექსანდრე ხოსიტაშვილი – გარდაიცვალა თბილისში, სოფელი დიღომში, პოლიციელთა მიერ ცემის შემდეგ;
- 4. ოლეგ მესხიძე – მოკლულ იქნა ოზურგეთში სპეცოპერაციისას;
- 5. ჯუმბერ ნაგვრვაძე – ოფიციალური ვერსიით, თავი ჩამოხრჩო ბათუმის იზოლატორში.

2008 წელი

- 1. თენგიზ გოგია – მოკლულ იქნა

- სენაკის რაიონის სოფ. მენჯეში, სპეცოპერაციისას (ოფიციალური ვერსიით, თითქოს თავი აიფეთქა);
- 2. როლანდ მახარაძე – მოკლულ იქნა ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მძევლების გათავისუფლებისას;
- 3. გიორგი გამცემლიძე – თბილისში, მეტრო „რუსთაველთან“ დაკავებისას მოკლა პატრულ-ინსპექტორმა;
- 4. რინ შავაძე – ოფიციალური ვერსიით, მოკლულ იქნა გაქცევის მცდელობისას ქობულეთში, ქაქუთის საავტომობილო გზაზე, სასტიკად არის ნაწამები;
- 5. ნატა ჯიჭონია – ზუგდიდის რაიონის სოფ. რუსში ცოცხალ ჯაჭვში მდგომს დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც ნასვამი პოლიციელი მართავდა;
- 6. ალექსანდრე კეზერელი – ოფიციალური ვერსიით, გურჯაანის რაიონის სოფ. ზიარში შელაპარაკების ნიადაგზე მოკლა ოთარ ბოდლოციშვილი, შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მერ განყოფილების ყოფილი უფროსმა;
- 7. ზურაბ მათაძე – მოკლულ იქნა თბილისში, რუსთავეის გზატკეცილზე, დაკავების შემდეგ; ოფიციალური ვერსიით, დაიღუპა საპატრულო მანქანის ავარიის შედეგად;

2009 წელი

- 1. გია კრიალაშვილი – მოკლულ იქნა თბილისში, გლდანში (თიანეთის გზატკეცილი) სპეცოპერაციისას;
- 2. ჯიმი მეგრელიძე – მოკლულ იქნა ზუგდიდში დაკავებისას;
- 3. მამუკა ჩარჩხალია – მოკლულ იქნა თბილისში, ნუცუბიძის პლატოს III მკრ-ის ასახვევთან თავის არეში მიყენებული ჭრილობით.

სასჯელადსრულების სისტემა

2006 წლის 27 მარტს მესხეთე საპრობილემო ე. წ. ციხის ბუნტის ჩახშობისას ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად მოკლულ იქნა 7 პატიმარი.

სასამართლო სისტემა და პროკურატურა

ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ საპროცესო გარიგების შედეგად ციხიდან განთავისუფლდა როდონ კირაკოსიანი, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული პირი.

რ.შალამბერიძე



ხელისუფლების მიზანია, აქლანია ხალხის თვალში მთლიანად გააკოზროს და რეჟიმში დააპარპინოს.

– რა თქმა უნდა, ხელისუფლების მთავარი მიზანი კელისის, როგორც იდეოლოგიური ინსტიტუტის, განადგურებაა, რათა დანერგოს თავისი იდეოლოგია, შემოიღოს მამათმავლობა, სახელმწიფო დღესასწაულად აქციოს პელოუნი...

– საქართველოში ფაშისტური რეჟიმი მყარდება. სააკაშვილს ისღა დარჩენია, დიქტატურა გამოაცხადოს. – დღეს „თავისუფლების ინსტიტუტი“ იგივეა, რაც პოლიტიკური იყო საბჭოთა ეპოქაში.

– ოპოზიციური სექტორი სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს.

„ერთწლიანი პატიმრობის“ თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე საზოგადოებრივ მაუწყებელს საპროტესტის პირდაპირი ეთერის დაბლოკვაში ადანაშაულებს და ამას სააკაშვილს უკავშირებს. მისი განცხადებით, სიტყვის თავისუფლება დღეს პატრიარქისთვისაც კი არ არსებობს და საქართველოში მიმდინარე პროცესები საშიშ სახეს იღებს. საუბარი გიორგი ანდრიაძემ ამ თემით დაიწყო:

– ის პროცესები, რაც ჩვენს ქვეყანაში ვითარდება, ძალიან საშიშ სახეს იღებს. საქართველოში ფაშისტური რეჟიმი მყარდება, სააკაშვილს ისღა დარჩენია, დიქტატურა გამოაცხადოს. როდესაც საპროტესტისაკენ უარს ეთქვა პირდაპირ

ეთერზე, რა იმედი უნდა ჰქონდეთ მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებსაც დაუხურეს ტელევიზიები, არ აძლევენ სიხშირეს, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს სიტყვის თავისუფლება და დამოუკიდებელი მედია?! ამის შემდეგ ქვეყანაში იწყება განუკითხაობა, იმიტომ, რომ რეაგირებას ვერ ახდენ პროცესებზე. ყველამ ერთად უნდა მოვითხოვოთ სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა. ოპოზიცია, ნებით თუ უნებლიეთ, სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. როდესაც უცხოეთის წინაშე დავაყენებთ საკითხს არა პრეზიდენტის გადაყენების, არამედ ღირებულებებისა და უფლებების დაცვის შესახებ, ჩვენ ამას მივალწვეთ. მაგრამ გამოიკვთა აბსტრაქტული და რადიკალური მოთხოვნა: „მიშა წადი!“, რამაც გააკოტრა ოპოზიცია.

– აზრის გამოხატვის უფლება გამოიყენა თუა თუთბერიძემ, როდესაც გაავრცელა ჩანაწერი უწმინდესის შესახებ.

– სიტყვის თავისუფლება ნიშნავს გამოთქმა აზრი, მაგრამ, თუ იგი არის შეურაცხყოფილი და ცილისწამებული, ეს უნდა დაისჯოს კანონით. მაგრამ ამ ხელისუფლების პირობებში შეურაცხყოფა დასჯადი არ არის. იმიტომ, რასაც უნდა, იმას ლაპარაკობს თუთბერიძე და კიდევ ილაპარაკებენ სხვებიც. სიტყვის თავისუფლება არის პრინციპი, როდესაც საკუთარ აზრს გამოხატავ, მაგრამ ჩვენ წართმეული გვაქვს ეს თავისუფლება. ჩვენ ვერც ცუდ და ვერც

კარგ აზრს ვერ ვავრცელებთ. მაშინ, როდესაც ხელისუფლება და მისთვის სასურველი ოპოზიცია საკუთარ აზრს როგორც უნდა ისე ავრცელებს. მათ შორის, თუთბერიძეც.

– როგორ ფიქრობთ, ვინ იდგა თუთბერიძის უკან?

– ხელისუფლება, იმიტომ, რომ თუთბერიძე არის ხელისუფლების წარმომადგენელი. ჩვენთან ხელისუფლება არის კონცენტრირებული არა მთავრობასა და პარლამენტში, არამედ „თავისუფლების ინსტიტუტში“, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურს. ამ იდეოლოგიური ჯგუფის წარმომადგენელია თუთბერიძე. მის უკან დგანან, რა თქმა უნდა, მისი პოლიტიკური თანამოაზრენი.

– რაში სჭირდება ხელისუფლებას ეს ნაბიჯი; ნუთუ ვერ გათვალეს ის, რომ ამას, შესაძლოა, ქვეყანაში უმართავი პროცესების განვითარება მოჰყოლოდა?

– ამით ხელისუფლებამ რამდენიმე კურდღელი დაიჭირა. სააკაშვილი იმ დამსვევ გამოვიდა და პილატესავით ხელი დაიბანა; ასე ვთქვათ, გაემიჯნა ამ ცილისწამებას. მეორეს მხრივ, ამით პირი მოუსინჯა საზოგადოების რეაქცია. ხელისუფლება მიზანმიმართულად აკეთებს ამას. მათი მიზანია, რომ ეს ინსტიტუტი, ეკლესია ხალხის თვალში მთლიანად გააკოტროს და დააკარგონ რეჟიმის რეჟიმში.

ესაუბრა ნანა ლაღაბიშვილი



# ისლამის პროპაგანდისტები ნიღა სამების უარყოფას ქადაგებენ და ღვთისმშობელ მარიამს მუსლიმანი ქალის სიმბოლოდ წარმოაჩენენ

**მითხარით, სად, რომელ ქვეყანაში მოქვეყნეს თავი 100 ათას ადამიანს ერთ დღეს მხოლოდ იმიტომ, რომ მაცხოვრისა და მარიამ ღვთისმშობლის ხატები არ შეურაცხყო?**

**ახალი თაობისთვის ეს ამბავი ფაქტია და მეტი არაფერი!**

**უხსნის ვინმე ბავშვებს, მოზარდებს, რომ ხატზე ფეხის დაუბიჯებლობა მტრის წინაშე გამოვლენილი „ქართული სიჯიუტე“ კი არა, რწმენის სიდიადე და სიძლიერე იყო? ეუბნებიან ბავშვებს, ახალგაზრდებს, რომ ხატი უბრალო „ხატწერის“ ან „მოჭედვის“ ნიმუში არ არის? აზიარებენ რწმენისა და ხატის საიდუმლოს? უნდა ვაღიაროთ – არაგინ!**

ძალიან თუ შევარბილებ სიტუაციას, ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში ცუდი მდგომარეობაა, ხალხისა და ხელისუფლების დაპირისპირებამ, საზოგადოების ობიექტურმა განაწევრებამ მმართველ ელიტაზე და ამ ელიტის სიჯიუტემ, პრინციპმა – ოღონდ მე თბილისი სავარძელი შევინარჩუნო და ჯანდაბამდე გზა გკონიათო, ქვეყანა უფსკრულამდე მიიყვანა. უფსკრულის პირას მდგომარეობა, პატარა ბიჭი უნდა და უფსკრულის ბინადარიც გახდეს.

საქართველოსაც და ქართველ ხალხსაც უბიძგეს სულ ახლახან, როცა კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს სიბრძნე „დაუწუნეს“ და ანტი-სახელმწიფოებრივ გამოთქმებსა და ქმედებებში (!) დასდეს ბრალი „გარდების ვირტუალური სამყაროს“ ბინადრებმა.

ხალხის ერთმა ნაწილმა (და არა სრულიად საქართველომ) დაგმო ეს გამოსვლით, მაგრამ რა? „ორთქლის გამოშვებას“ ჰგავდა, ხანდახან გამაღიზიანებელს. არ ეწეოდა იმას, ვინც ახალგაზრდების ერთი ჯგუფის ხმაურით გამოხატვები მოაწყო. ბოლოში და... დაატრიალეთ ფირი. შეხედეთ იმ ახალგაზრდას, ვისაც ხატი მოაქვს და გაჰყვიროს – „პატრიარქს გაუმარჯოს, გაუმარჯოს!“ შეიძლება, გცდებოდ, მაგრამ მგონია, რომ ის ვიღაცის დაუვლებით ხტის და ღრიალებს. ის არ არის ჭკუშიარტი მართლმადიდებელი. მას უთხრეს, რომ ასე უნდა მოიქცეს, რომ მსოფლიოს აჩვენოს „ნამდვილი სახე ქართველი ქრისტიანი მართლმადიდებლისა“, რომელიც, უკაცრავად, მაგრამ ლამაზი და მისაღები სულაც არ არის.

პირველად გვეხმის, რომ „თავისუფლების ინსტიტუტს“ საკუთარი დაზვერვა და აგენტურა ჰყავს ახალგაზრდებში? მაჩვენეთ ერთი ქვეყანა, ნორმალურად მოაზროვნე ერთი ადამიანი, მით უფრო, ხელისუფალი, რომელიც ტრაგედია, ანტი-სახელმწიფოებრივ გამონათქვამად შეაფასებს ცნობილ აზრს, რომ კარგი კაპიტანი გემს უსაფრთხოდ უნდა მართავდეს, რომ ყველაფერი წინასწარ გათვალის და დათვალის, რომ ამინდის გრძელვადიან პროგნოზთან შეთავსებით დაარეგულიროს ხომალდის სიჩქარე თუ სავალი გზების მარშრუტები? რომ კარგმა კაპიტანმა უნდა ააცილოს საფრთხეები გემის ეკიპაჟს თუ მგზავრებს...

ვინახავთ, კაპიტანი კლდეს ხედავდეს, გარდაუვალ მარცხს გრძნობდეს და მაინც ჯიუტად მიდიოდეს იმ კლდისკენ და არადა უდიდესს მის აზრს, ნიჭს, გამოცდილებას მინდობილი ადამიანების ბედი?

მთავარი ამ ვითარებაში მაინც ისაა, თუ რა უსწრებდა წინ „თავისუფლების ინსტიტუტის“ საჯარო თავდასხმას უწმინდესსა და უნეტარესს.

სამიტინგო „წვილ-კვილი“ ყველას გამორჩა, რომ წვრილმანი კრიტიკით, ეკლესიის, სამღვდლო პირთა შეურაცხე-

ოვით უფრო დიდი რამ მზადდებოდა.

სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ისლამის სადიდებელი წიგნების შემოტანა საქართველოში. ვეძებ და აღმოვაჩინე, რომ უამრავ ადამიანს (მუსლიმანებს და უფრო მეტად ქრისტიანებს) „უანგაროდ“ აჩუქეს წიგნები: „წმიდა მარიამი მუსლიმანი ქალის სიმბოლო“, „ეგვიპტის თეორიის სიცრუე“, „ისლამი ტერორიზმის წინააღმდეგ“, „ცხოვრება მუჰამედისა“ და სხვა. ილუსტრირებული ფერადი გამოცემებია, „თვალმისახიდი“. გამართული ქართული ნათარგმნი.

ერთ წიგნს აწერია „სტამბული 2008 წ.“, მეორეს მხოლოდ „2007 წლის თებერვალი“, მესამეს და მეოთხეს საერთოდ არაფერი. ვინ დაბეჭდა, რამდენი, როდის... არაფერია მინიშნებული.

**შემთხვევითია?**  
საქართველოში იყიდება ტყეები, მდინარეები, პორტები, უნივერსიტეტები... თურქებზე, არაბებზე, სხვებზეც...

როგორც ჩანს, ხელისუფლება ემზადება მათ მისაღებად (აბა, ნამდვილი ქართველები გეტოებში იხრჩობიან) და წინ „წიგნებით უნათებს გზას“... ვაითუ რამე შეეგეშალოს მომავალ (და უკვე რეალურ) თუკანტანს.

**„გამოგერჩა“, რომ თვით საქართველოს პრეზიდენტმა „პატარა კმარელის“ „გაბეჭდულ“ გამოსვლაზე „მწვანე ანთო“ და მიანიშნა: „ჰკა მაგათო!“**

**„უაზრო ლაპარაკი“ უწოდა „ერთმორწმუნეთაზე“ აქცენტის გაკეთებას, „კულტურათა დიპლომატიკა“... ილუზია უწოდა ასეთი გზებით რუს ხალხთან დაახლოებას და კავშირების აღდგენას.**

სამწუხაროდ, საზოგადოებამ წაუყრუა ხელისუფლების გადაწყვეტილებას ბათუმში ილია ჭავჭავაძის ძეგლის აღების შესახებ.

**სწორედ საზოგადოების წაყრუებაა საგანგაშო, თორემ ხელისუფლების მოტივაცია გასაგებია – ეტყობა, წინ „დიდი თურქობა“ გველის და თვალში ეჩხირებათ ილია ჭავჭავაძეც და ილია მეორეც და, საერთოდ, ილიას გზაზე დამდგარი ადამიანები, „უბრალოდ“, წმიდა ილია მართალი! თბილისში ეახლებება „მოითხოვეს“ (?) დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა და გადაიტანეს! სასტუმროს ქართულად წარწერას არ უკეთებენ, კანონს არაფრად აგდებენ, სკოლებში ჯვარს კრძალავენ...**

**მეტი რაღა ვინდა?**  
გახსოვთ, ალბათ, ევროპულ პრესაში მუჰამედზე კარიკატურა რომ დაიბეჭდა და მთელი მსოფლიოს მუსლიმანები ერთ საათში გაერთიანდნენ – ქუჩები აავსეს და მწარედ ანანეს დაცინვა დიდსა და პატარას.

გაუბეჭდა ვინმე რამე? ტყეები და გაზი გამოიყენა მათ დასაშლელად? ვერც გაბეჭდნენ, საყოველთაო ჯიპდის შიშით ევროპამ სამართლიანად განრისხებულ მუსლიმანებს ბუხიც ვერ აუფრინა!

ქართველ მართლმადიდებლებს, ისევე, როგორც სრულიად საქართველოს, ერთად დგომა და ერთად ქმედება უჭირთ, ამიტომაც გაგვიბედეს ხელეკტი, გაზი რეზინის ტყევი!

ამიტომაც არის, რომ ისლამის პროპაგანდისტები მოზარდ გოგონებს ქუჩაში ურიგებენ წიგნს სათაურით „წმიდა მარიამი მუსლიმანი ქალის სიმბოლო“.

ამ წიგნით მათ ეუბნებიან, რომ „ყურანი კაცობრიობის ერთადერთი ჭეშმარიტი სახელმძღვანელოა“, რომ „ყველა მორწმუნე ვალდებულია, მარიამის კეთილშობილ ბუნებას ყურანის საშუალებით გაეცნოს“, რომ „უფალი მარიამს იდეალური ბუნების მქონე მუსლიმანი ქალის მაგალითად წარმოგიდგენს“.

**„უწყინარია“, არა? რუსული ტანკები გრუხუნებენ, თვითმფრინავები თავზე დაგვიტრიალებენ... ამას ვხედავთ და რუსეთს (ერთმორწმუნეს!) დაუძინებელ მტრად ვაცხადებთ მისი ხელისუფლების გამო. სანაცვლოდ „უწყინარია“ თურქ-არაბობა XI საუკუნისა, ახალი დამპყრობელი**

ხერხებითა და საძრახისი მეთოდებით.

რა გამოდის? საქართველო მუსლიმანი მარიამის წილხვედრი ქვეყანაა? ღმერთო, დაგვიფარე! ერთი „კმარელის“ „აღსარება“ რა მოსატანია ამ უბედურებასთან?

თუ ქალის სიმბოლოა? მაშ, რატომ წერენ, „ქალების ბუნება და ხასიათი საზოგადოებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია (!), ქალები კი მუდმივად საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობენ“.

ყურანის მიხედვით კი, „სრული ჰარმონია“ ყოფილა (!) „ქალიცა და მამაკაციც თანაბარუფლებიანი არიან სარწმუნოების თვალსაზრისით...“

კი მაგრამ, სხვას რას ერჩიან, თუ მაკმალიანურ სამყაროში ასე არ არის? ვინ იტყვის, რომ ისინი თანაბარუფლებიანნი არიან?

ისინი არაფერს მალავენ... აცხადებენ, რომ წიგნების ავტორების ყველა ნაწარმოები ერთ მიზანს ემსახურება – გადასცეს ადამიანებს ყურანის მოძღვრება (!)

ვითომც არაფერი... „სახვათა შორისოდ“ წერია, რომ მარიამის დედამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისი შვილი „მხოლოდ ალაჰის სამსახურში ყოფილიყო“ (!), რადგან მას „მხოლოდ ალაჰის მოძღვრების სწამდა“ (!).

მარიამსაც საზოგადოებაში სახელი გაუთქვამს „ალაჰისადმი ერთგულებით“ (!).

წიგნის ყოველი წინადადება ასე იწყება: „ალაჰი მარიამს ორსულობის დროს გვერდზე ედგა“, „ალაჰს მიენდო“, „ალაჰის სახელით“, „ალაჰი ეხმარებოდა“ და ა.შ. მთელი წიგნი ამითაა სავსე.

და უცებ... „თავზე გამსობს“ იესოს საქმეს, რომ იგი არ უწამებიათ (!).

რა გამოდის? ტყუილი ყოფილა მისი ჯვარცმა, მისი კვართი, სიღონა, ქრისტეს წმინდა ნაწილები, გოლგოთის გზა...

ქრისტიანებს ვერ გაუგიათ (!), რომ ქრისტე არც აწამეს და არც მოკლეს, იგი „ალაჰმა მიაძინა“ და ასე „მძინარე ამაღლდა“...

ეს წიგნები დიდი რაოდენობით საქართველოში სწორედ იმ დროს გავრცელდა როცა ხალხი „მიტინგობდა“ და ფსევდოპოზიციური ბანგით გაბრუებულს არც რწმენა ახსოვდა არც უფალი, „საკანი №5“-ს იყო მიჭიჭინებულ...

ამის მერე რატომ გვიკვირს, რომ საქართველოს პატრიარქსაც შეჰბედეს სიტყვი!

იცით, რა წერია ამ „პატარა და უწყინარ“ წიგნში?

**„დღევანდელ ქრისტიანებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათმა სარწმუნოებამ სახე იცვალა და ის აღარ არის, რაც შუამავალმა იესომ იქადაგა. ისინი ამტკიცებენ, რომ იესო ღვთის შვილი (ალაჰი ამას კრძალავს) და წმიდა სამეზიდან ერთ-ერთია (მამა, ძე და სულიწმიდა). ალაჰის მიერ კაცობრიობისთვის დადგენილი წესების დარღვევით, თანამედროვე ქრისტიანები უფლის ჭეშმარიტ რეალიზაციას ჩამოშორდნენ და მათი შუამავალი იესოს მიმდევრებად ჩათვალა დაუშვებელია... ურჯულთა, ვინც ამბობს: ღმერთი მესამეა სამებისაგანო“.**

ტოტალურად გვიტყვენ და რა დროს ერთი თავზეხელაღებული კმარელის ნათქვამის კომენტირებაა?

რა დროს ოხერ-ტიალი თუთბერიძე, როდესაც ჩვენ ცხვირწინ არიგებენ პროპაგანდისტულ ბროშურებს, სადაც შავით თეთრზე წერია – რის სამება, რა სამება, რა მამა, რა ძე, რა სულიწმიდა, როცა თურმე „უფლის ჭეშმარიტ რეალიზაციას“ ჩამოშორდით და, შესაბამისად, „ურჯულოები ვართ“, რომ თურმე...

არც ახლა გაიღვიძებ, საქართველოვ?!  
**მაყვალა ბერიანიძე**

**რედაქციის მინაწერი:** იქნებ არც ღირდეს ამ უმსგავსოების კომენტირება, მაგრამ ადინწუნდ „თხზულებათა“ დეკლარირებული ავტორებს უნდა შევახსენოთ, რომ როცა აქლემიდან კისრით გადმოსვებულმა მუჰამედმა ისლამი სარწმუნოებად

ჩამოაყალიბა, ქრისტიანობა უკვე „ჭარმაგი“ რელიგია გახლდათ.

ნათქვამია: „ძაღვმა ყეფა არ იცოდა, ადამიანებმა ასწავლესო!“ თქვენ დაიწყეთ თქვენთვის უადრესად სამარცხვინო და ჩვენთვის მიუღებელ თემაზე საუბარი და იძულებულს გეხდით, რომ პასუხი გაცდეთ. ჩვენი სულიერი წინაპარი აბრაამის კანონიერი შვილი გახლდათ სარასგან, თქვენი სულიერი წინაპარი ისმაილი კი წმინდა წყლის ნაბიჯვარი იყო, რომელიც აბრაამის მის მხეველ ქალს აგარას „გაუკეთა“. ამიტომაც გქვიათ „სარკინოზები“ („სარას ძაღვები“). გარდა ამისა, ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი ჩვენი რჯული სისხლით ნათესაობას შეიღო თაობის მანძილზე ინახავს ხელუხლებლად, ნათელ-მორნს კი ცხრა თაობის მანძილზე. განა ამ სიწმინდის არსს გაიგებს თქვენი რჯულის მოზიარე, სადაც ძმათა შვილები ერთმანეთზე ქორწინდებიან, სადაც ერთ ძმას თავისი გარდაცვლილი ძმის ცოლი მოჰყავს ცოლად... სწორედ ამგვარი სისხლის აღრევა აკნინებს ერებს სულიერად და რელიგიურად, რაც აშკარადაა ასახული თქვენს რჯულზე. ამიტომ ერეკებოდი საქართველოდან ასიათასობით ქართველ გოგონებს, რათა ინცესტით მოწამლული თქვენი სისხლი გაგეახლებინათ, მაგრამ, საუკუნეთა განმავლობაში იმდენი სიბინძურე დაგვიტოვებდათ სულსა და სხეულში, რომ მისი გაკეთილშობილება უკვე აღარ შეიძლება! სწორედ ამის შედეგი გახლავთ თქვენი ჯიშის კაცობრიობის მიერ აფხაზეთში მართლმადიდებელი მღვდლისა და მართლმადიდებლური ეკლესიის ამგები აფხაზი ინჟინრის მხეცურად დახვრეტა, მოსკოვის წმინდა მოციქულ თომას ეკლესიის მოძღვარ მამა დანიელის მხეცური მკვლელობა მრგვლის თვალწინ, 18 წლის ქართველი ყმაწვილის ღურწაიას მკვლელობა თქვენი ჯურის მილიციების მიერ, ტერაქტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში... მკვლელები ხართ თქვენ, საზიზღარი მკვლელები, და ხშირად, როცა მისაკლავად ვერაფერს მოიხელებთ, თავს იკლავთ მორიგელებით!

სისხლით ვერ ძღვებოდა, და დღესაც ვერ ძღვება, თქვენი მოდგმა!


ღორის ხორცს არ მიირთმევთ – უწყინდური ცხოველია და იმიტომ. თქვენი რელიგიის უამრავი თანაზიარის ცხოვრების წესი რომ თავიდან ბოლომდე კაცთმომუღვრობის კლასიკური ნიმუში და უწყინდურობის განსახიერებაა, ამაზე თუ დაფიქრებულხართ როდისმე?

კიდევ უამრავ რამეს ვიტყვით თქვენი უბედურე რელიგიური მრწამსის თაობაზე, მაგრამ იმ ჩვენს მუსულმან მეგობრებს არ გვინდა ვატიკნოთ გული, რომლებიც ერთნაირად სცემენ პატივს საკუთარ და ჩემს სარწმუნოებასაც, არ გვინდა უსამართლონი ვიყოთ ევბისეელი თათრის ბიჭის ბახოს სსონის წინაშე, რომელიც აფხაზეთის ომში დაეცა, და რის თაობაზეც „ილორის“ ამასწინანდელ ნომერში ვწერდით, არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ სამეგრელოში დაფუძნებული და იქ აღსრულებული მუსულმანის ხალიდ ჯაბიბის სსონას, რომლის კაცურ-კაცობას წიგნი მიუგოდვინით, და მალე გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე...

ასე რომ, თქვენს მიერ ქრისტეზე მისხმული ლაფი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ბოღმა ვიხრავთ გულს, რადგან არა ხართ და ვერც გახდებით ჭეშმარიტი ქრისტიანები თუ ლაღები და ლამაზები. ამიტომ, ილოცეთ გავააშვერილებმა თქვენი მრწამსისათვის და თავი დაანებეთ ქრისტიანებს, რომელთაც თქვენ ვერც გონიერებით შესწვდებით და ვერც სულიერებით, რადგან... რადგან თქვენ ინსტინქტებით მოქმედ ცხოველებს ჰგვებართ და საერთოდ არ იცით, თუ რა არის სულიერება!!!

და კიდევ – ერთი ასეთი წიგნი მეც ჩამივარდა ხელში და ჩემს ლაგოდებულ მონადირე-მგობარს ვაჩუქე, რომელსაც გილხების დედასტენი ქაღალდი არ ჰქონდა. სიბინძურე მხოლოდ ასე უნდა მოიშოროს...

# სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დელოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შედეგების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

მაგრამ მოვლის მათის ცხოვრების აზრი მხოლოდ ქეიფი იყო, ანუ, როგორც იტალიელები ამბობენ ხოლმე, **delce far niente** (საამო უსაქმრობა).

„კიდევ კარგი“, – იტყვოდა ხოლმე არჩილ ბატონიშვილი, – „რომ მჭამელი საჭმელზე ნაკლებიაო“, ასეთ პირობებში ამ ბატონებს ცხოვრება შეეძლო, მაგრამ რაღას იზამდა მაშინ, როცა მჭამელის რიცხვი ძვენთა რაოდენობას გადააჭარბებდა?

აი ეს კითხვა ყველაზე მწვავე კითხვა იყო, ამიტომ რომ სენაკის ოლქის მებატონეთა უმრავლესობა ისეთი პირობებში იყო, რომ ძვენი, ყმის ნაოფლარი არა ჰყოფნიდათ, მჭამელი მეტი იყო, ვიდრე თვით საჭმელი.

5

მდინარე აბაშის გაღმა ვაკეზე გაშლილი სოფელი ბანძა, სადაც 75 მეტი კომლი თავადები ესახლდნენ. ეს თავადები – ფაღავები იყვნენ, რომელთაც მხოლოდ 800 კომლი აზნაური და გლეხი ჰყავდათ. ორთა შუა რიცხვით, მაშასადამე, თითოეულს მებატონეზე 10 კომლზე მეტი გლეხი არ მოდიოდა. მაგრამ ასე თანასწორად როდი ჰყავდათ ყმები. ერთს მაგალითად, თავადს ხახუ ფაღავას, ას კომლამდე ჰყავდა, მაშასადამე, ბუერს მისს თანამოგვარესა და ნათესავს ყმები ათი კომლიც არა ჰყავდა. და აი სწორედ აქ უნდა ეძებნა კაცს პასუხი იმ კითხვისა: „**მაშინ რა ეშველებათ, როცა მჭამელი საჭმელზე მეტი იქნება?**“.

ბანძას 40 ვერსის სივრცე ადგილი ეკონდა, ესე იგი, ის ადგილი, რომელიც მდებარეობდა მდ. აბაშისა და ცხენისწყალს შუა, ქუთაისის გუბერნიამდე. ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში *status in status* – ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგვანდა, ხოლო მებატონე ფაღავები – ცალკე ძალას. ბუერი თავისმეტყრება დამკვირდა ამ ადგილას ოთხის წლის განმავლობაში, სანამ სენაკის ოლქის მართვა-გამგეობა მებარა.

რომ ამ წყვედიანში გზა გამეგრეო და ყველაფერი გამოშეკვლია, პირველ ხანებში ორი გზის მანქანებელი ავიყვანე. ერთი იყო კეთილი და ყოველად პატიოსანი თავადი დავით ფაღავა, რომელიც ორის წლის წინად გავიცანი, როცა მთავრის ძმისთან, კონსტანტინესთან, იყო. გულგრილისა და აუწყარებელის ხასიათისა იყო დავითი, ამასთან, ოხუნჯობაც უყვარდა. სწორედ ზედმოტრედი იყო იმ თანამდებობისათვის, რომელიც, ჩემის წინადადებით, იკისრა: ბანძის მოურავობა ჩავაბარე. ბანძაში ყველა საქმე დომხსადივით იყო აღუფხულები, ძალიან პატრონს ვერა სცნობდა და ასეთს ალაგას სხვა ვინმე თავტანს დააკარგავდა, სიბრაზისაგან თავს მოაკვლევინებდნენ. მაგრამ დავითმა გაბრაზება რა იყო, არ იცოდა, ყველაფერს ითმენდა, თანაც ოხუნჯობდა და ისე საქმესაც აკეთებდა. მეორე თანამშემწე – აგრეთვე ჩემი დიდის ხნის ნაცნობი კაცი

იყო, გიგო (გრიგოლ ნოკოლოხის ძე) ფაღავა, ჭკვიანი, მაცდური და თავის სოფელში მეტად გაველნიანი კაცი. ადრე მდივანბეგად ყოფილა, და ამიტომ გამოცდილი იყო ადმინისტრაციულ საქმეებში. საშინლად უნდოდა რუსის სამსახურში შესულიყო და ამ აზრით განსაკუთრებით ცდილობდა უფროსებისათვის ეამებინა. ამხუდ უკეთესს კაცს ვერსად ვიპოვნიდი, მეგობრულად ვიყავი იმისთან, ხშირად მივდიოდი მისს სახლში. ჩემს მოსვლას რომ შეიტყობდნენ, ნახევარ საათს უკან, თუ სადმე ფაღავები და აზნაური გაბუნები იყვნენ, სულ იქ მოიყრიდნენ თავს. მალე გაიცანი ეს რიცხვმრავალი გვაროვნობა ფაღავებისა, რომელნიც უმიწა-წყლობით მეტად გაღარიბებულნი იყვნენ. ესენი ჩამომავალნი არიან ერთის ჯიქეთის თავადისა, რომელიც ამ რამდენისამე საუკუნის წინად დადიანთან გადმოვიდა, დადიანმა მიიღო და აქ დაასახლ-კარა. ამ თავადის შთამომავლობა გამრავლდა, მერე დაიყო და იმ მდგომარეობამდე მიაღწია, რა მდგომარეობაშიც ჩვენ მოვუსწარი. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბულადა სცხობდნენ, ჯიში არ გადაგვარებულა: ფაღავები, როგორც ქალი, ისე კაცი, ყველანი ლამაზები არიან, ყველას მათს ლაპარაკში, მიმხვრებაში სიმარდე, გამბედაობა და სინარნარე იხატება. ახალგაზრდობა უსწავლელია, ცხოვრებისათვის მოუწადებულა. სხვა არა იყოს-რა, ცუდად მარტო იმისთვის მაინც ვერ დარჩებოდნენ, რომ ჭამა უნდოდათ და ამ საჭმლისათვის კიდევ – შრომა. აი, ამიტომ, ხელობად საშიში, მაგრამ მათის მეტროდ ხასიათის შესაფერი, საქმე გაიხადეს, – ამათს ხელობას რუსები ცხენის ქურდობას ეძახიან, ხოლო მეგრელები – „**მახინჯობას**“. მებატონეებმა ამ საქმეში თავისი ყმებიც ჩაითრიეს და საქმე მივიდა, რომ ცხენისწყლის პირას მდებარე ფაღავების საყმო, სოფლები ლეხ-ანდრო და ნავაზაო ადამიანს გააოცებდა. აქ არაფერსა სთესდნენ: არც ღომს, არც პურს, არც სიმინდს, და სოფლებს კი არაფერი აკლდა. ყველას სირმა-შე-მოვლებული ჩოხა ეცვა, მშვენიერი იარაღი ჰქონდა და თითო კარგი ცხენი ყველასა ჰყავდა სათითაოდ. მართლაც-და, გასაოცარი იყო, საიდან მოულოდბა ეს ხალხი ყოველსავე ამას! საქმე ის გახლავით, რომ მეზობლად, ცხენის წყალს გაღმა, იმერეთი იყო და იქიდან ეზიდებოდნენ ყოველსავე დოვლათსა. ცხენის ქურდობა ბანძაში დიდის ხნიდანვე იყო და მთავრის დავითის დროს უფრო გართულდა ეს საქმე. დავითმა ჯარიმა დააწესა: ვინც ერთს ცხენს მოიპარავდა, თუ დაიჭერდნენ ქურდობაში, შვიდი ცხენი უნდა გადაეხადა. ამ შვიდ ცხენიდან ორი ცხენი ცხენის დამკარგავისა იყო, ერთი – მდივანბეგისა, რომელიც ქურდს დაიჭერდა და სამიცი-მთავრისა. ამ ჯარიმის დაწესების შემდეგ მოვიდა კორპორაცია შესდგა დამზღვევ საზოგადოებათა ხასიათისა. თუ ვინცობა,

ქურდს ვერ დაიჭერდნენ, ეს კორპორაცია ქურდის მაგივრათ შვიდს ცხენს გადაიხდიდა და მერე ცდილობდა ზარალი ათწილ აენახლაურებინა ახლად მოპარულ ცხენებითა. ხოლო მათის თარეშობის მსხვერპლი საცოდოევი იმერეთის, იმერ-ლები, იყვნენ. ამბობდნენ, სამეგრელოს მთავარს მოპარულ ცხენების ჯარიმად წლიურად ათასხუთასი თუმანი შემოსდიოდა. ამ ფულის 2/3 შემოდიოდა იმ ქურდებისგან, რომელნიც იმერეთში იპარავდნენ ცხენებსა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავარი ყოველწლივ იმერეთს ათას თუმანს ხარკს ახდევინებდა! რა თქმა უნდა, სამეგრელოს მეზობლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, როცა რუსის მთავრობა შემოვიდა სამეგრელოში და ქურდობისათვის დაწესებული ჯარიმა გადავარდა აქ.

სანამ ბანძაში მოვიდოდი, ბუერი რამ გამოგონია აქ გავრცელებულ ქურდობის შესახებ. აქ მოვედი თუ არა, გაველნიანი მოხუცები მოვიწვიე და გამოვუცხადე, რომ რუსის შემოსვლის შემდეგ ცხენის ქურდებს კანონი სხვაგვარად დასჯის-მეთქი. თუ ქურდი დავიჭირებ ჯარიმის მაგივრად უფრო უარესად დასჯის კანონი მიესადაგება; თუ ქურდობა აზნაურს დაატყდა, ციშირის ქვეყნები უნდა ნახოს, ამიტომ, გთხოვთ, ბოლო მოუღოთ და ამოკეყოთ ეს აზნაურობისათვის სამარცხვინო ხელობა-მეთქი. ამის შესახებ დიდი ლაპარაკი გააბეს. მითხრეს, ჩვენც იმის მონატრელები ვართ, ქურდობა გადავარდესო. თუ თქვენ რასმე გვიშველით, ჩვენც დავგებდებით და სიას შევიდგენთ თავ-თავ ქურდობისას, როგორც თავადებისა და აზნაურებისა, ისე გლეხებისასაო. გიგოსა ვთხოვე, ეს სია შეადგინეთ-მეთქი. იმანაც სიამოვნებით შეადგინა და ამის შემდეგ ყველა ფაღავებმა საჯაროდ პირობა მომცეს, ამიერიდან ქურდობა მოისპობა ჩვენს შორისო. მოხუცები პათეტიურად მელაპარკებოდნენ, მჭერ-მჭეველურად გიგო და დავითი იმითთან დავტოვე, რომ საბოლოოდ მოკლავარაკებოდნენ, და მე კი წამოვიდი. მაგრამ ამას შემდეგ ხუთს დღესაც არ გაუვლია, თეკლაში ჩემთან ათი ხონელი მოვიდა და ტირილით შემომხილეს, ამ ორ დღის წინად ერთსა და იმავე ღამეს ათი ცხენი მოგვპარესო. თან, ამ ცხენების ქურდობის მეთაურად პირდაპირ თავადს ბუენ ფაღავას ასახელებდნენ. სერიოზული საქმე იყო, მაშინათვე შევჯექი ცხენზე-ვიახლე რამდენიმე ყაზახურსი და თარჯიმანი და პირდაპირ ბანძაში წავივი. ხოლო იმერელებს ვუთხარი, თქვენც იქ მოდიეთ-მეთქი.

ბანძაში პირდაპირ ბუენის სახლისაკენ გავემართე.

აივანზე თვითონ სახლის პატრონი მომეგება, ასე ორმოც და ათის წლის კაცი, ჭადარაშრთული, დიდწვერა, და ოთახში შემიწვია. მიხმა მშვიდმა და ზრდილობიანმა სახემ, უწყინარმა ხმამ პირველ ხანსვე აზრი შემაცვლევინა: ვიფიქრე, გონია, შევცდი, იქნება, იმერელებმა მომტყუეს-მეთქი: აბა რა საფიქრებელია, ასეთის საპატო სახის თავადი ასეთს სამარცხვინო საქმეში როგორ გაერეოდა-მეთქი! ხონელები ჯერ კიდევ არ მოსულყვენ ბანძაში და, იმთა ლოდინში, სახლში შევედი. სახლში ყველაფერი წესსა და რიგზე იყო მილაგებული, მასპინძელმა – ჩაის მოგართმევით, მაგრამ მე უარი ვუთხარი და პირდაპირ ლაპარაკს შევუდექი.

– ჩემთან დღეს ათი იმერელი მოვიდა, თავადი, და თქვენ გიჩივიან, ამ ორი დღის წინად ათი ცხენი მოგვპარავო, აქ იმისთვის მოვსულვარ, ეს საქმე გამოვიძიო.

ბუენმა დადონებულად გაიღიმა და მიპასუხა:

– მტერობით ამბობენ, ბატონო... ცილსა მწამებენ... ესენი ჩემი მეზობლები არიან... მამულების თაობაზე დავა გვაქვს... მამულს მართმევენ...

ღიმილით ამბობდა და სახეზე ისეთი გულწრფელობა ეტყობოდა, რომ, ცოტას გასწვდა, არა თქვი, სწორედ ცილის წამება-მეთქი. თან, იმერელებმაც დაიფიქრეს, როგორღაც არსად გამომხდნენ... იჭკმა შემიპყრო, გამოვედი აივანზე, მოვიხმე ჩემი თარჯიმანი ბესარიონ ქავთარაძე და ვკითხე: ამ მოხუცის შესახებ რა იცო... დავიჯერო, ქურდია-მეთქი? ბესარიონი არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა: ნამდვილ ქურდია და ბანძაში პირველი ეს არისო. ყველამ იცის, რომ ქურდობის დროს ორ-

ჯერ დასტრეს – ხელში და კისერშიო. ეს რომ გავიგე, ბესარიონს ვუბრძანე, თვალ-ყური ადევნე, არსად გაიპაროს მეთქი.

ბოლოს ხონელებიც მოვიდნენ, ჩემთან ლაპარაკი დაუწყეს ბუენს და დავრწმუნდი, რომ ბუენი ქურდი იყო.

ბუენი ოთახში შევიხმე, კარებზე თითო ვახახრუხი დავაყენე და თავადს ვუთხარი, დაკერილი ხარ-მეთქი. მერე თარჯიმანს ვუბრძანე, ბუენისათვის იარაღი აეყარა და კედელზედაც რაც რამ იარაღი ეკიდა, ჩამოეხსნა, ბოლოს, ბუენს გამოვუცხადე: ახლა გვიან არის და ხვალ, დიდის ათ საათზე, საქმის გამოძიებას შევუდგები, ამიტომ თუ გსურს, სასჯელი რაც შეიძლება შეგიმსუბუქდეს, ხვალ, დიდის 9 საათამდე, ყველა მოპარული ცხენები შენს ეზოში უნდა იყოს-მეთქი, უკლებლივ. ეს განკარგულება შენ შეგიძლია ოთახიდან გაუსვლელად მოახდინო-მეთქი. თან თარჯიმანს ვაკითხინე, რომელ მოსამსახურის დაძახება ჰსურდა. ბუენმა რომელიღაცას დაუძახა და დიდხანს ეჩურჩულებოდა. მისი თავი დარაჯებს ჩავაბარე და მე კი გიგოსთან წავივი. თან, ვუბრძანე, ბუენის იარაღიც იქ მოეტანათ.

მეორე დილას ჩემთან თარჯიმანი მოვიდა და მითხრა, ცხენები ყველანი ეზოში გახლავით. როცა ბუენის სახლში მივედი, ხონელებიც იქ დამხდნენ. ყველამ იცნო თავთავის ცხენი. შევადგინე ოქმი, ყველას ხელი მოვაწერინე და ცხენები პატრონებს ჩავაბარე. გახარებულმა ხონელებმა მდაბლად თავი დამიკრეს, დიდი მადლობა მითხრეს და შინისკენ წავიდნენ.

მე და ბუენი მარტო რომ დავრჩით, მუხლებზე მომეხვია და თხოვნა დამიწყო: „**ნუ დამღუპავთ! მეტად არ ვიჭურდებ, ეს უკანასკნელი იქმნება! გვივიცებით მადალ ღმერთს და ყველა წმინდანების სახელს.**“

მე ვუთხარი, ახლა თვითონ არ შეგიძლია რამე გიშველო, პირდაპირ ვუბრძანებთ თავადსა და შევატყობინებ ყველაფერს-მეთქი; რაკი მალე დააბრუნე ცხენები, იქნება, ამისთვის რამე შეღავათი რამე მოგცეს-მეთქი.

ქალაქი დავსწვრე და დატყვევებული ბუენი და მისი იარაღი ყარაულებს ვავატანე კოლუბიაკინთან ქუთაისში. თან, ცალკე ვსწვრდი გენერალს, კარგად დააშინე ქურდი, ციხის მაგივრად გაუბრტახაში ჩასვი-მეთქი. ჩემის აზრით, პირველად ესეც საქმე იყო კოლუბიაკინიც ასე მოიქცა.

ორი დღის უკან გენერალთან ფაღავების გამოვზავინი დეპუტაცია მივიდა და ცრემლითა სთხოვდნენ ბუენის გამოსხნას, – ნუ ინებებთ იმის დაღუპვას და საქმეს სასამართლოში ნუ გადასცემთო. გენერალმა ესენიც ძალზე დატრუსა. გულგახეთქილად დაბრუნდნენ ბანძაში და ეგონათ, რომ ბუენს ვერავფერი უშველიო. მთელი ერთი თვე იჯდა ბუენი გაუბრტახაში. ფაღავებმა მოციქულებად რამდენიმე ბატონიშვილი, მათ შორის ელიზბარი და არჩილიც, მიუგზავნეს კოლუბიაკინს და ათხოვინეს ქურდების წინამძღვრის განთავისუფლება. გენერალს გული მოუღალა, მათი თხოვნა შეიწყინარა და უთხრა: ამის თავმდება თქვენ იყავით, იმ პირობით ვუშვებ, რომ თუ კიდევ დავიჭირე ქურდობაში, სასამართლოში არც კი გადავცემთ მისს საქმეს განსახილველად, პირდაპირ ადმინისტრაციულს წვსით, გავგზავნი რუსეთის ერთ-ერთ შორეულ გუბერნიაშიო. ბუენი გამოუშვეს. ამ ერთის-თვის ტყვეობას თავისი დალი დამეჩნია: გამხდარიყო საშინლად, საკმაოდ დატანჯულიყო. ის იყო და ის. „**მახინჯობისაგან**“ განიკურნა. იმ ხანებში და იმის შემდეგად დიდს ხანს ბანძაში ქურდს არ გაუჭაჭანია, ხალხმა მოისვენა, მეზობელმა ხონელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და რუსების მართვა-გამგეობას ლოცვადნენ. როცა ბანძაში მოვიდოდი, ბუენი პირველი მოდიოდა ჩემთან, ძაღლის სიერთუგულე ეხატებოდა თვალებში და სულ თავს დამტრიალებდა.

ასე რომ, ბანძელების ცხოვრებაში დიდ ამბად ითვლებოდა ბუენ ფაღავას თავგადასავალი. ამან დამახლოვა ფაღავებთან და იძულებული შევიქნე უმეტესი დრო მათის საქმეების გარჩევისათვის მომენდომებინა.

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: აფხაზეთისა და ოსეთის დაპყრობით საქართველოს დაშლის პროცესი არ დათმავრება

ქართველი პოლიტოლოგები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის ციურისში გაფორმებული ხელშეკრულება სამხრეთ კავკასიისთვის მეტად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა იქვე იმ საფრთხეებზე საუბრობენ, რაც ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას და საზღვრის გახსნას შეიძლება მოჰყვეს. მათი აზრით, ერთგვარად შეიცვლება სომხეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და ის აღარ იქნება ისეთი რევერანსული, როგორც აქამდე იყო. ასევე, მოსალოდნელია, რომ სარქისიანმა მხარე დაუჭიროს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის მრავალწლიან მოთხოვნას ამ რეგიონისთვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე.

თურქეთსა და სომხეთს შორის ახალი პოლიტიკური ურთიერთობების დაწყებას ცალკეული პოლიტოლოგი ამერიკულ პროექტსაც უწოდებს, რომელიც მიზნად ისახავს, სომხეთი რუსეთის ორბიტას ჩამოაშოროს.

აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი შეიცვლება საქართველოსთვის და ხომ არ შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას, ამის გარკვევა პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან ვცადეთ.

– ბატონო ჰამლეტ, თუკი ციურისში ანკარასა და ერევანს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად გაიხსნება საზღვრები თურქეთსა და სომხეთს შორის, ანუ სომხეთი აღარ იქნება საქართველოს დამოკიდებული, ხომ არ დადგება დღის წესრიგში „ჯავახეთის საკითხი“?

– ჩვენი გასათვალისწინებელია ის საკითხი, რომ 1992 წლიდან მოყოლებული, სომხეთი, ფაქტობრივად, ჩაკეტილი სივრცე იყო და ერთადერთი გზა, რომელიც სომხეთს რუსეთთან აკავშირებდა, საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა. 1992 წელს რკინიგზის ვაგონების ძარცვის საბაბით და სომხეთში მიმავალი ტვირთების გადარჩენის მოტივით შევარდნაძის ხელისუფლებამ შეიტარა აფხაზეთში და დაიწყო ომი. ამას მოჰყვა სარკინიგზო მიმოსვლის გაუქმება. სამიოდე წლის წინათ ღარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის რეკონსტრუქციის მიზნით რუსულმა მხარემ ღარსი ჩაკეტა. მართალია, ჩრდილოელმა მეზობელმა ის უკვე აღადგინა, მაგრამ საქართველო ჯერჯერობით არ აპირებს ამ სასაზღვრო პუნქტის გახსნას. სხვათაშორის, მინდა, ისიც გითხრათ, რომ როცა მიხეილ სააკაშვილი სომხეთში ბრძანდებოდა, ის ორდენით დააჯილდოვეს. ეს ორდენი ერთგვარი ავანსი იყო იმ დაპირების შესასრულებლად, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა სომხებს მისცა. მან განაცხადა, რომ ღარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის წინააღმდეგ არ იქნებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. რკინიგზა არ მუშაობს, საგზაო მიმოსვლა, ფაქტობრივად, შეწყვეტილია და ერთადერთი გზა, რომლითაც სომხეთი რუსეთს უკავშირდება, ეს შავ ზღვაზე გასასვლელია საქართველოს ტერიტორიის გაკლით. ამ სატრანზიტო მიმოსვლაში სომხეთი საკმაოდ სერიოზულ თანხებს იხდის და უკმაყოფილოცაა, რადგან მიანია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღალი ტარიფებია დაწესებული.

– თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და საზღვრის გახსნას რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის?

– თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნის შემთხვევაში, საქართველოში ტვირთბრუნვა 30-35 პროცენტით შემცირდება, რაც ბიუჯეტში თანხების შემცირებას ნიშნავს. არ გაივლის ტვირთი – არ იქნება შემოსავალი. როდესაც სააკაშვილი მილიონობით ტურისტზე საუბრობს, არ ახსენებს, რომ უცხოელი ტურისტების 90 პროცენტზე სომეხია და ქართულ ტურისტულ ყუილებას, ძირითადად, სომეხები ავსებენ. აჭარაში, სადაც ყოველ წუთს ზევას უნდა უყურო – გაწვიმდება თუ არა, დასასვენებლად არ ჩამოდიან ამერიკელები და ფრანგები. რუსეთთან ურთიერთობა არ გვაქვს. უკრაინელებს კი გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ ყირიმის კურორტებზე. ცხადია, როცა თურქეთთან საზღვარი გაიხსნება, 2010 წლის ტურიტულ სეზონზე სომხებს შანსი ექნებათ,

აჭარის ნაცვლად დაისვენონ თურქეთის შავი და ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე, იმ ცნობილ კურორტებზე, სადაც, სხვათაშორის, ქართველებს უყვართ სიარული. სომხებს იქ დასვენება გაცილებით იაფი დაუჯდებათ, ვიდრე – აჭარაში. საქართველოს ბიუჯეტში ესეც გამოიწვევს ფულადი შემოსავლების კლებას.

– ორ ქვეყანას შორის საზღვრის გახსნა მხოლოდ ქართულ ეკონომიკაზე აისახება?

– როდესაც სომხეთსა და თურქეთს შორის საკომუნიკაციო კავშირები დამყარდება, სომხეთი საქართველოს მიმართ აღარ იქნება ისეთი რევერანსული, როგორც აქამდე იყო. ის უკვე მყარად დასვამს მთელ რიგ საკამათო საკითხებს და გულადად ილაპარაკებს იმ პრობლემებზე, რაც ჯავახეთში არსებობს. ამასწინათ სარქისიანმა განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთში სომხური რეგიონული ენა უნდა იყოს. ამ განცხადებას პოლიტიკოსებმა კრიტიკა და ვაი-უშველები დაიწყეს. თუმცა, თუ არ ვცდები, პარლამენტმა ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. საგულისხმოა ისიც, რომ აქ მხოლოდ ენის საკითხზე არაა ლაპარაკი. მოსალოდნელია, სარქისიანმა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების მრავალწლიან მოთხოვნას ავტონომიის თაობაზე მხარი დაუჭიროს. დმეგრთა უწყის, რას დაარქმევენ, მაგრამ პირველსაწყისზე ეს იქნება სამცხე-ჯავახეთის ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში. მერე ამას შეიძლება მოჰყვეს ისედაც დაქუცმაცებული საქართველოს კიდევ უფრო დანაწევრება. სხვათაშორის, არაერთხელ მითქვამს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვით საქართველოს დაშლის პროცესი არ დამთავრებულა, ის ახლა დაიწყო. თუკი სომხები კატეგორიულად მოითხოვენ ავტონომიას, არა მგონია, ვინმემ წინააღმდეგობა გაუწიოს.

– რატომ?

– უპირველეს ყოვლისა, ევროსაბჭო მყავს მხედველობაში. სამცხე-ჯავახეთში საქმისწარმოება რომ სომხურ ენაზე ყოფილიყო, ეს ევროსაბჭოს კატეგორიული მოთხოვნა იყო.

– თუკი სომხური რეგიონული ენა გახდება, ეს ხომ კიდევ უფრო გაართულებს ადგილობრივი მოსახლეობის საქართველოსთან ინტეგრაციას?

– როგორც ჩანს, საქართველოს ეს არ აინტერესებს. არც ერთ ხელისუფლებას – არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და არც მათ წინამორბედს (საბჭოთა კავშირი მაქვს მხედველობაში) საამისოდ არაფერი გაუკეთებია. ქართული ენის პედაგოგის გაგზავნაც კი პრობლემად იყო ქცეული. არ ხერხდებოდა ქართული ტელერადიოგადცემების მიღება და ა.შ. გასულ წელს ანკარაში კავკასიის ქვეყნების პოლიტოლოგთა და მეცნიერთა შეხვედრას ვესწრებოდი. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არ ბრძანდებოდნენ იქ. მაშინ, როცა სომხური და აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. აღნიშნულ შეხვედრაზე სომხური დიასპორის წარმომადგენელმა კატეგორიულად მოითხოვა ავტონომია არა მხოლოდ სომხებისთვის, არამედ აზერბაიჯანელებისთვისაც. აქედან გამომდინარე, მინდა, გითხრათ, რომ ქართულ სახელმწიფოს დასაფიქრებლად აქვს საქმე და კუვეიტში სირიის ამ პრობლემების მოგვარების გზების ძიება სჯობია. რომ არ დაგვეწყო ომი და არ ყოფილიყო 7-8 აგვისტო, ეს საკითხები ასეთი სიმძაფრით არ დაისმებოდა. რაკი სერიოზული ბზარი განჩნდა და ხომალდმა, რომელსაც საქართველო ჰქვია, ჩაძირვა დაიწყო, ყველა ცდილობს, ამ ქვეყანას რაც შეიძლება მეტი წააგლიჯოს. ეს ჩვეულებრივი ამბავია და სამწუხაროა, რომ ამ პროცესებს სერიოზულად არაფერი უყურებს. ამასწინათ ქართულ მასშტაბში დიდი ზარზეიმით გაშუქდა, თუ როგორ მოუგეს ქართველმა პარლამენტარებმა რუსებს სტრასბურგის დიპლომატიური ომი, როგორ ჩამოართვეს ხმა რუსეთის დელეგაციას და სხვა ზღაპრები, თუმცა არაფერი თქმულა, როგორ დატოვებს უპასუხოდ რუსეთის დემის წევრს – კოსტანტინ კოსანოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ქართველებს სტალინმა აჩუქა. ეს ინ-

ფორმაცია რუსული პრესიდან შევიტყე.

– ჩვენი მასშტაბი ტრადიციულად დუმილა...

– ჩვენმა პრესამ ამაზე ყურადღება არ გაამახვილა, ისევე, როგორც უყურადღებოდ დეტალა ე.წ. ოპოზიციონერმა გიორგი თარგამაძემ, ვინც სულელმა აკოფ მინაშვილმა, თვალგადმოკარკულმა გაბაშვილმა და ა.შ. დღესდღეობით სომხები დაბეჯითებით ბეჭდავენ წიგნებს, ბროშურებს, რუკებს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე, სადაც თბილისიც კი სომხეთის შემადგენლობაშია; გადაშლი ენციკლოპედიას და ნახავ, რომ სამცხე-ჯავახეთი თურმე სომხეთი ყოფილა და ა.შ. დღეს, შეიძლება, არაფერ გვართმევს თბილისს და სომხეთს არ აკუთვნებს, მაგრამ ეს ყველაფერი ხალხის მესხიერებაში ილექება, პასუხს კი არავინ სცემს. სომხეთ-თურქეთის ურთიერთობიდან გამომდინარე, რაც მოგახსენეთ, ერთ-ერთ თემაზე ნათელი იქნება. სომხეთის ხელისუფლება საკუთარ მოთხოვნებში უფრო მტკიცე იქნება. პოლიტიკა და დიპლომატია ძალიან სწრაფად იცვლება და თუ ფხვს ვერ აუწვობ, წაგებული აღმოჩნდება.

– ბატონო ჰამლეტ, ჩვენი ძირითადად, სომხურ ფაქტორზე ვისაუბრებ... როგორც ცნობილია, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აფხაზეთში იმყოფებოდა. ხომ არ დადგება დღის წესრიგში თურქეთის მიერ აფხაზეთის აღიარება?

– ჯერჯერობით გჭირდება, რომ თურქეთმა ეს ნაბიჯი გადადგას, მაგრამ პოლიტიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თურქეთს რომ აფხაზეთთან ურთიერთობა სურს, ამას წყალი არ გაუვა. საგარეო და ეკონომიკური ურთიერთობები აქვს კიდევ. არ არის გამორიცხული, საკმაოდ დიდი თანხაც ჩალოს აფხაზეთის განვითარებისთვის, ქართული მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად. თურქეთს კავკასიის მოწესრიგების საკუთარი გეგმა აქვს და ეს გულისხმობს ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თანამშრომლობას აფხაზეთთან, საქართველოსთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ყოველგვარი კინკლაობის გარეშე. ანუ თურქეთს სურს სამშვიდობო ზონის შექმნა ამ ტერიტორიაზე... თუმცა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სულაც არ განიხილავს საქართველოს შემადგენლობაში. მისი პოზიცია უახლოვდება რუსეთის პოზიციას. მეგობრობა და ძმობა პოლიტიკაში არ არსებობს. პოლიტიკაში არის ინტერესები და თურქეთი ყოველთვის გაუწევს ანგარიშს რუსეთს, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებში, როგორც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

მოგესხნებათ, ზოგიერთი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის დაწყებული ურთიერთობა ამერიკული პროექტია და მიმართულია იქით, რომ სომხეთი რუსეთის ორბიტას ჩამოაშორონ. შესაძლოა, ეს იყოს კიდევ ამერიკულ გეგმაში. მაგრამ საკმაოდ რთული პროცესია ეს ნაკლებ-სავარაუდოა, რომ შტატებმა ეს შეძლოს. ქართველებისგან განსხვავებით, სომხები სხვა ყაიდის პოლიტიკოსები არიან, პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნება უყვართ და შეეცდებიან, კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ რუსეთთანაც და თურქეთთანაც. ამ ეტაპზე შეიძლება სომხეთს დააბრუნებინონ აზერბაიჯანისთვის წართმეული ტერიტორიები და ყარაბაღის საკითხი გაიყინოს. არ არის გამორიცხული, თურქეთის ზეგავლენით აღდგეს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კომუნიკაციები და ეკონომიკური კავშირები. თუ ეს ასე მოხდა, საქართველო დაკარგავს არამარტო ტურიზმიდან და ტრანზიტით მიღებულ შემოსავლებს, არამედ შესაძლოა, ენერგეტიკული ტრანზიტიც სომხეთის გავლით შეირწყოს.

– ნაბუკოს პროექტს გულისხმობთ?

– რა არის გამორიცხული. როგორც სპეციალისტები წერდნენ, ეს პროექტი 12 მილიარდზე მეტი ჯდება და ეკონომიკური კრიზისის დროს ძნელია ამხელა თანხების მოძიება. მხარეები შეეცდებიან, უფრო იოლი დერეფანი მოიძონ და ასეთ დერეფნად სომხეთი ჩათვალონ.

ვისაუბრა  
ნათია ქადაგიშვილი

## ალიანსის წევრობას მუქთად არ პრიგება

საყურადღებო დასკვნებს გეთავაზობს მიმომხილველი დაგ ბენდო National Interest online-ში გამოქვეყნებულ სოლიდურ სტატიაში.

გთავაზობთ ამონაკრებს ამ ნაშრომიდან:

„საქართველო გეოპოლიტიკურად ცუდ სამეზობლოში მდებარეობს, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსკოვი არ ცდილობს თავისი სამხრეთელი მეზობლის დაპყრობას. ოკუპაციის საფასური ძალიან დიდი და ხანგრძლივმოქმედი იქნებოდა (უკრაინა კიდევ უფრო ძნელი მოსანელებელია), მაგრამ ერთი რამ უეჭველია, რუსეთს რეგიონში დომინირებადი გავლენის აღდგენა და თავისი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა.


რა თქმა უნდა, ამერიკელები თანაგრძნობით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი ქართველი ხალხისადმი, რომელსაც თავისივე ხელისუფლებამ ცუდად ემსახურება და რომელსაც რუსული ჯარიც ცუდად ეპყრობოდა, მაგრამ ეს არ ქმნის თბილისისთვის უსაფრთხოების გარანტიების გაზრდის საფუძველს. რეალურად, საქართველოს მიღება ნატოს ალიანსის შექმნის მთავარ მიზანს, ამერიკის უსაფრთხოების განმტკიცებას მიაყენებდა დარტყმას.

გაშინებულნი სთვლის ადგილი არ იქნება ნატოში გაწევრების მხარდაჭერაზე უარის თქმა და, მართლაც, თეთრი სახლის თანამშრომელმა მაიკლ მაკფოულმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ რუსეთის დარწმუნებას ან მასთან გაჭრობას... ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით“, მაგრამ საჯარო ვარიანტები საჭირო არც არის. ობამას ადმინისტრაციამ თბილისის ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით ევროპულ ქვეყნებზე ზეწოლა უნდა შეწყვიტოს...“

ამერიკამ ცივი ომი ისე განვლო, რომ ცხელ კონფლიქტად არ გადაუქცევია. დღეს რუსეთთან უმიზეზოდ ომზე წასვლას აზრი არ აქვს ან, თუ უფრო პირდაპირ ვიტყვით, თბილისის გამო ვაშინებურის სარისკო მდგომარეობაში ჩაყენება არ ღირს.

მიუხედავად ნატოს ექსპანსიის ქომაგების განცხადებებისა, ალიანსის წევრობას მუქთად არ არიგებენ. ისტორია საესეა მაგალითებით, როცა ალიანსები, ომის შეკავების ნაცვლად ომის გამომწვევე მიზეზად ქცეულა, ხოლო იმის საფუძველი, რომ ნატოს შემთხვევაში მოვლენების სხვაგვარად წარმართვას უნდა ველოდოთ, არ არსებობს.“

# პატრიარქის უაღრესი...



**რა იცოდა დიდმა კოლუმბიელმა მწერალმა გაბრიელ გარსია მარკესმა, რომ მისი ნაწარმოების გმირის განცდები XXI საუკუნის საქართველოს თანამდევნი გახდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, თუ მარკესის პატრიარქი წარსულის მოგონებებით ილაშქრებდა დარჩენილ წუთისოფელს, საქართველოს პატრიარქი, ჩვენი ხელისუფლების უუნარობითა თუ შეგნებულად წაყრუებით, ერთ მუჭა მკრეხელთა სისინის წყალობით ხშირად აღმოჩნდება ხოლმე კონფლიქტურ პოლიტიკურ მოვლენათა ეპიცენტრში. ისე არ გაიგოთ, რომ პატრიარქი თუნდაც რაიმე სახით ეროდეს პოლიტიკაში. უბრალოდ, მისი კანონიკური პრინციპულობა, რელიგიური მრწამსი და მოქალაქეობრივი პოზიცია არასოდეს ემთხვევა ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალის მიზანდასახულობებს, რაც თავისთავად იწვევს პოზიციათა პოლარიზებას და კონფლიქტს და ხშირად ფართო აუდიტორიის მსჯელობის საგნად იქცევა ხოლმე. შეურყეველია საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ისევე როგორც ურყეველად იცავდა ქრისტე თავის მრწამსს მეკლესიებად ქცეულ იუდეველთა წინაშე და ჯვარცმის სანაცვლოდაც კი არ დაუთმო მათ საკუთარი პრინციპები. ცის კაბადონს შემგარი ატლანტივით შეურყეველია საქართველოს პატრიარქი...**

რამდენიმე დღის წინ ილია მეორემ რუსეთთან გამართული ომი მტკიცე კედელთან შესკრომას შეადარა და დასძინა, რომ კედლისათვის გვერდის ავლა ყოველთვის შეიძლება – ისევე, როგორც ყოველთვის შეიძლება ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა და ძალადობაზე უარის თქმა. ქართული საზოგადოების აბსოლუტურმა უმეტესობამ უპირობოდ მიიღო ეს განცხადება და საჯაროდ დაეთანხმა მას. ხელისუფლებას კი საერთოდ არ მოუხდენია არავითარი რეაგირება. მეტიც – ხელისუფლების მიერ ანგაჟირებულმა მედიამ პატრიარქის აღნიშნულ გამოსვლაზე საერთოდ არ გააკეთა კომენტარი. ხოლო რაც გაკეთდა, იმდენად ამაზრუნე იყო, რომ ჩვენ მას არ გავიმეორებთ, რადგან იმპერიალისტური ძალების აგენტების მოძებნა მხოლოდ ხელისუფალთა რიგებში თუ იქნება შესაძლებელი. ამგვარი უპასუხისმგებლო და მკრეხელური კომენტარების შედეგი გახლ-

## მზარ-მოყვარე ვერ გაბერდის ერთმანეთისაგან

იუდეველთა მოდგმის ყველაზე საშინელი წყევლა.

დათ ის, რომ ქართული საზოგადოება პატრიარქის წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებაზე აღაპარაკდა...

ხელისუფლება კი კვლავ დაუნდობლად ებრძვის არა მხოლოდ ტოლერანტულ ქართულ საზოგადოებას და ეკლესიას, არამედ ხელოვნებისა და კულტურის იმ წარმომადგენლებს, ვინც გაბედავს და ოდნავ სიმპათიას გამოამჟღავნებს რუსეთის მიმართ. ამას წინათ დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან გაანთავისუფლეს შენობის რემონტის მომიჯნავედ. არაოფიციალურად კი, არსებობს ვარაუდი, რომ ზაზა აზმაიფარაშვილს “ზემოდან” პაატა ბურჭულაძის კონცერტზე გამოსვლა აუკრძალეს, რაკიდა ხელისუფლებამ ქართველ ტენორს მოსკოვური საქველმოქმედო გასტროლი არ აპატია. ნიჭიერ დირიჟორს კი პოლიტიკა და კლასიკური მუსიკა ერთმანეთისაგან ვერ გაუმიჯნავს და სწორედ ამას შესწირა ხელისუფლებამ მისი შემოქმედება...

სიძაროვანი ვითხრათ, ძალზე გამოცვა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის მიერ, ამას წინათ, ერთ-ერთ ავტორიტეტულ შეხვედრაზე გაკეთებულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დღეს არსებული პრობლემა მოგვარებადი და ამ საქითხზე მუშაობა რუსეთის ერთ-ერთ კავალენიან პოლიტიკოსს, შეხვედრის მიხეზ-იუბილარს ბატონ ვეგენი პრიმაკოვს დაავალა. პრიმაკოვი თბილისში დაბადებული და აღზრდილი ადამიანია და კარგად იცნობს საქართველოს და ამ ქვეყანაში არსებულ გეოპოლიტიკურ თუ სხვა სახის პრობლემებს. პუტინის ამ განცხადებაზე უკეთეს საჩუქარს, ახალი წლის დადგომის წინ, მართლაც ვერავინ უძღვნიდა ქართველ ერს, რადგან გაგვიჩნდა იმის რეალური იმედი, რომ საქართველო კვლავ გამოვლიანდება და ჩვენთანაც, ბოლოს და ბოლოს, ნანატრი სიმშვიდე დაისადგურებს. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს მოსოფლო ხელისუფლება სწორედ ამერიკის სომხური ღობის თვალით უყურებს დღეს ჩვენთან არსებულ პრობლემებს, საქართველოს საწინააღმდეგო საკუთარი მიზნები გაანინა და სრულიად არ არის დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით.

ნათქვამია, “კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო”. ვლადიმერ პუტინის ამ განცხადების შემდეგ ტელევიზიით გამოდის საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი აკაკი მინაშვილი და საჯაროდ აცხადებს: “პუტინს უნდა საზოგადოებრივ განაზღვრულ საქართველო ისე, რომ იგი გეოპოლიტიკურ რუქაზე საერთოდ არ არსებობდეს”. მინც საიდან გამოიტანა ამ დალოცვილმა მინაშვილმა ასეთი აზრი, ჩვენთვის გაუგებარია. როგორ შეიძლება უკუღმად გესმოდეს ადამიანის წადმა ნათქვამი: “საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის პრობლემა გადაუწყვეტელი საკითხი სრულიად არ არისო”. შენ თუ შენი ქვეყნის დამანგრეველი ხელისუფლის ზეწოლით ამბობ ასეთ სისულელედ ქცეულ შეუსაბამობას, სხვა საკითხია, თორემ, სად განჭვრიტა მან პუტინის მხრიდან საქართველოს დაქვევან განაზღვრების სურვილი, ჩვენთვის სრულიად გაუგებარია...

აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებისათვის კატეგორიულად მიუღებელია ყველანაირი პოზიცია, რაც კი რუსეთთან ნორმალური კავშირების აღდგენას, რუსების ხელშეწყობით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მშვიდობის დამყარების სურვილს გულისხმობს.

როლანდ ჯალაღანია

**PS.** მანქურთები კი კვლავც შხამიან ისრებს უშენენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და მის წინამძღოლს. ავადსახსენებელი თვა თუთბერძინის განათლების დონეს თუ გავითვალისწინებთ, მას ალბათ არ ეცოდინება ვინ არის პეროსტრატე და იგი ალბათ აეროსტატი ჰგონია, რომელიც მადლა-მადლა დაფრინავს. ამიტომ უნდა ავეუსნათ მას და მისნაირებს, რომ “პეროსტრატეს დიდება”, რასაც ისინი ქართული ეკლესიისა და მისი პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლით იხვეჭენ, ყველაზე სამარცხვინო და მიუღებელია პროგრესული საზოგადოებისათვის. კოდოს ნაკბენს ჰგავს “გათახსირებული” მანქურთების ბრძოლა პატრიარქის წინააღმდეგ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კოდო ერთ-ერთი საშინელი დაავადების – მალარიის გადამტანია. ასეთი კოდოების ბუდი კი კაცობრიობას დიდი ხანია აქვს გადაწყვეტილი...

პარტიულობა, პოლიტიკოსობა და დიპლომატობა მოითხოვს ხელისუფლებისაგან, რომ არ ჰქონდეს რუსეთისადმი ამგვარი შეუწყნარებელი პოზიცია. ამიტომაც არის, რომ ხელისუფლებისათვის დიდად აღმაშფოთებელი არ გახლდათ პატრიარქის სახელის ასე უდიდრად მოხსენიება. იმიტომ, რომ ხელისუფლება მომხრე ყველა იმ პოზიციის დაგმობისა, რაშიც გამოხატულია რუსეთისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება, შემწეობა, ბოლოს და ბოლოს, ელემენტარული გონიერება. ანუ ყველაფერი, რამაც ამ ზესახელმწიფოს მკაცრი დამოკიდებულება საქართველოსადმი უნდა შეარბილოს. ეს ყველაფერი კი, სამწუხაროდ, მიუღებელია საქართველოს ხელისუფლებისათვის. ამიტომაც, მისი პოზიცია, როგორც საქართველოს ერთიანობის დამცველისა, სრულიად არ არის გულწრფელი. არადა, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ზემოქმედ სახელმწიფო – რუსეთთან, ასეთ დამოკიდებულებაში არაფერია ცუდი და არასახელმწიფოებრივი. თვით დასავლეთ სამყაროც კი, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას საქართველოს რუსეთთან დაპირისპირებაში ერთადერთ მფარველად ესახება, სწორედ ამგვარ პოლიტიკას მიმართავს, რაც მათ სიბრძნეზე მეტყველებს და არა შიშზე რუსეთის მიმართ. დასავლეთ სამყაროს ქმედება ხშირად არ არის მათი განცხადების ადეკვატური, რადგან მისი ქვეყნები თითქმის ყოველთვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და არ სურთ რუსეთის მტრად მოიქცევა. ყოველივე ამის ფონზე, ძნელი ასახსნელია, თუ ჩვენ რის იმედად ვამწვავებთ რუსეთთან ურთიერთობას, თუ ჩვენს ხელისუფლებას გარკვეული ბნელი ძალების შეკვეთითა და კარნახით არ მოქმედებს. ეჭვგარეშეა, სწორედ ამას გულისხმობდა საქართველოს პატრიარქი, როცა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში კედელს უზაროდ შესკრომასა და თავის გატეხვაზე საუბრობდა.

აი, რატომ სჭირდება კაი მთქმელს, კარგი გამგონე!

მოდით, ახლა კვლავ საქართველოს კულტურის სფეროს დაუბრუნდეთ, რომელიც ქვეყნის გარკვეულ ძალთა ბინძური პოლიტიკური თამაშების წყალობით აღმოჩნდა საბედისწერო მოვლენათა შუაგულში. ეჭვგარეშეა, რომ ბატონ ზაზა აზმაიფარაშვილის მოხსნას ხელისუფლება ვერავითარ დამაჯერებელ არგუმენტს ვერ მოუძებნის, მაშინ, ყოველივე ეს ლოგიკურად დაასაბუთებს ჩვენ მიერ განვითარებულ მოსაზრებას რუსეთისადმი ბრძადად გამოცხადებულ საყოველთაო მტრობასთან დაკავშირებით. ყველაფერი კი იქიდან

დაიწყო, რომ საქვეყნოდ სახელგანთქმულმა ქართველმა ტენორმა პაატა ბურჭულაძემ გაბედა და დაარღვია საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული რუსეთთან დაუძინებელი მტრობის პოლიტიკა. თითზე ჩამოსათვლელი არიან ის ადამიანები, ვინც XX-XXI საუკუნეში საქართველოს იმაზე მეტი სიკეთე მოჰმადლა, რამდენიც პაატა ბურჭულაძემ. ამ ადამიანის გათახსირებულ თუთბერძინის ( უფრო სწორად – ხელისუფლებისუფელი) დახასიათება – ადამიანისა, რომელიც ჭეშმარიტად უანგაროდ ემსახურება ქართულ ინტერესებს, მატერიალურად გატირვებულ ხალხს, მისი ლამის ქვეყნის მოღალატედ შერაცხვა უკვე თვალნათელს ხდის, რომ მარტო ეს ერთი ჭინკა-გოგო არ ყოფილა, ვისაც ასეთი საძრახისი პოზიცია აქვს. რუსეთისადმი მტრობა ხომ ქვეყანაში საუაღრესად გამოცხადებული პოლიტიკაა, და არავინ იცის, როგორ “მოღალატეთა” რიცხვს მიაკუთვნებენ ჩვენი გაზეთის რედაქციას. თუქცა, ჩვენ ეს ნაკლებად გვაინტერესებს, რადგან კარგად ვიცით, რომ ერის მტერის მტერი, თავისთავად ერის კეთილისმსურველია. განა რა დააშავა დიდმა მაცეტორმ ბურჭულაძემ მოსკოვში, საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობით. იქნებ სწორედ ასეთი სახელმწიფოპოლიტიკური ადამიანებისადმი პატივისცემაში ათქმევინა ვლადიმერ პუტინს, რომ საქართველოს ერთიანობის პრობლემა მოგვარებადიო. პირველად ხომ არ აღუნიშნავთ რუს პოლიტიკოსებს – აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემის გასაღები მოსკოვში ძევსო.

იმ კახელისა არ იყოს – შევიგნეთ და გამოვიყენოთ რო?

ჩვენს ხელისუფლებას არ სურს შეიმეცნოს, რომ რუსეთისათვის ანგარიშის გაწევა და ამ დიდ მეზობელთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენა სრულიად არ ნიშნავს კაპიტულაციას ამ სახელმწიფოს წინაშე.

ცნობილი ქართველი აკადემიკოსის, ბატონ შოთა ნადირაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: “...ისინი, ვინც გაბედავენ და რუსეთს კონსტრუქციულად ასხენებენ, ქართველ საზოგადოებაში პატივისცემას არ უნდა იმსახურებდნენ... არა და, ფაქტი ის არის, რომ დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობები საქართველოსთან მიმართებაში არაგულწრფელობით ხასიათდება, საქართველოსი კი – ორივესთან გულბრყვილობით”.

**“ციტატა-შეხსენება რატომ ილტვოდა წარსულში საქართველო რუსეთისაკენ? იმიტომ, რომ რუსეთი თავისთავად წარმოადგენდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სულიერ, სოციოკულტურულ ალტერნატივას. XVII-XVIII საუკუნეებში ეს იყო მუსულმანური სამყაროს ალტერნატივა, XX საუკუნეში – დასავლეთის, რომლის საპირისპიროდ შეიქმნა იმ კოლექტიური, პატრიარქალური საზოგადოების შესაბამისი სტრუქტურა, რომელსაც რუსი, ქართველი და სხვა ევრაზიული ხალხები წარმოადგენენ... ალექსანდრე ჭაჭია, 1996 წლის დეკემბერი”.**

გაზეთი "ილორი" უძველეს რეპრეზენტაციას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები" გაზეთი "ილორი" უძველეს რეპრეზენტაციას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

ათი ლეგენდარული მატჩი ფრანგული დუბლი

2000 წლის 2 ივლისი "ფიენოლორდ სტადიონი", როტერდამი ევროპის ჩემპიონატის ფინალი საფრანგეთი-იტალია 2:1 (დამატებით დროში).

გოლები: ვილტორი 90, ტრეზუგე 103, დელეკუი 55.

საფრანგეთმა გაიმარჯვა დამატებით დროში. 65.000 მაყურებელი.

მსაჯი ფრისკი (შვეიცარია).

საფრანგეთი: ბარტეზი, ტიურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ (პირესი), ვიერა, დეშამი, ჯორკაფი (ტრეზუგე), ზიდანი, ანრი, დუგარი (ვილტორი).

იტალია: ტოლდო, კანავარო, ნესტა, იულიანო, პესოტო, მალდინი, ფიორე (დელ პიერო), ალბერტი, დი ბიაჯო (ამბროზინი), ტოტი, დელნეკიო (მონტელი).

საფრანგეთის ნაკრები მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი "ოქროს გოლის" წყალობით, როცა დაამარცხა იტალიის გუნდი. თუმცა, მათი ფინალში გასვლა თვით ფრანგი გულშემატკივრებისთვისაც კი მოულოდნელი იყო. ამრიგად, საფრანგეთის ნაკრებმა, როგორც იმ დროისათვის მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა, ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ევროპის მაშინდელი ჩემპიონატი ბელგიასა და ჰოლანდიაში გაიმართა. ჩემპიონატის ორგანიზაციის თვალსაზრისით უამრავი საკითხი არ იყო მოწვევრივად, მაგრამ ეროვნულმა გუნდებმა ეს ხარვეზები შესანიშნავი თამაშით გადაფარეს. ბევრი ნაკრების მიერ ჩატარებული მატჩი სამუდამოდ შემორჩა ევროპის ჩემპიონატების ისტორიას, მათ შორის კი ფინალური ტურნირიც. იტალიელები, რომლებიც ძირითად აქცენტს

კატენაოზე (დაცვითი სტილი) აკეთებდნენ, მატჩის დაწყებისთანავე გადავიდნენ შეტევაზე. თუმცა, მატჩის პირველი ნახევარი მაინც დამთავრდა გატანილი გოლის გარეშე. მეორე ტაიმის მე-10 წუთზე იტალიელმა დელეკუომ ანგარიში გახსნა, რის შემდეგაც იტალიელები შეეცადნენ მატჩის ტემპის დაგდებას, რათა შეენარჩუნებინათ ეს მინიმალური უპირატესობა. ფრანგების საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანიც კი ვერ ახერხებდა მატჩში გარდატეხის შეტანას, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე შეცვლაზე შემოსულმა ფრანგმა ვილტორმა მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

დაინიშნა დამატებითი დრო. იტალიელებში თავი იჩინა დადლილობამ. რადგან წინა მატჩი მათ დიდი ძალისხმევით ფასად მოუგეს ჰოლანდიელებს. გამარჯვების გოლი დამატებითი ტაიმების მე-13 წუთზე გაიტანა ფრანგმა ტრეზუგემ, რამაც მის გუნდს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

ლეგენდარული გამარჯვება 2001 წლის 16 მაისი "ვესტფალენშტადიონი", დორტმუნდი უეფას თასის ფინალი "ლეგენდარული" (ინგლისი) "ალაგესი" (ესპანეთი) 5:4 (ოქროს გოლი). გოლები: მაკალისტერი 40, ფაულერი 73, ჰელი 117, ალონსო 27, ჰაბი მორენო 48,52, კრუიფი 89. 65.000 მაყურებელი. მსაჯი ვესიერი (საფრანგეთი). "ლეგენდარული": ვესტერფილდი, ბაბელი,

პიპია, ანშო (შმიცერი), კარაგერი, ვერარდი, მაკალისტერი, ჰამანი, მერფი, ოუენი (ბერგერი) ჰესკი (ფაულერი).

"ალაგესი": ერერა, კონტრა, ეგენი (ალონსო), კარმონა, ტელესი, პელი, ტომინი, დესიო, ასტუდილიო (მაგანო), კრუიფი, ჰაგი, მორენო (პაბლო).

2001 წელს "ლეგენდარული" შეასრულა ბრწყინვალე "ოქროს პეტი-თრიკი" ინგლისური კლუბების ისტორიაში, როცა ორ ბრიტანულ ნაციონალურ თასს დაუმატა მესამე - უეფას თასი. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლოს უეფას თასი "ლეგენდარული" მოიგო 25 წლის წინათ. ფინალური მატჩი ძალზე დრამატული გამოდგა. "ლეგენდარული" გამარჯვების "ოქროს გოლი" დამატებით დროში გაიტანა, რომლის ავტორიც გახლდათ "ალაგესის" მცველი პელი - მან დაუშვა საბედისწერო შეცდომა და ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. მატჩი უხეშობით გამოირჩა, მაგრამ მეტად ორგანიზებული "ლეგენდარული" იყო, რასაც "ალაგესზე" ვერ ვიტყვით. მხოლოდ

ორი ინგლისელი ფეხბურთელი გააფრთხილა მსაჯმა, მაშინ, როცა ყვეოფელი ბარათი მიიღო თერთმეტმა ესპანელმა ფეხბურთელმა, ორი მათგანი კი გააძევეს მოედნიდან.

მიუხედავად ამისა, "ალაგესმა" ღირსეული ადგილი დაიკავა ევროპულ ფეხბურთში, რადგან იგი პირველად გავიდა ასეთი ავტორიტეტული გათამაშების ფინალში. ამ გუნდის დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა მარჯვენა მცველი კონტრამინ კონტრა, რომელმაც თავი გამოიჩინა არა მხოლოდ დაცვაში, არამედ თავდასხმაშიც. ასევე გამოირჩეოდნენ შესანიშნავი ტექნიკით ნახევარმცველი ივან ტომინი და თავდამსხმელი პავი მორენო, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ გახდა კლუბის ბომბარდირი. "ალაგესმა" თავდასხმებით იბრძოლა, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიადწია, ინგლისის "ლეგენდარული" კი ოქროს ასოებით შევიდა "ლეგენდარული მატჩების ისტორიაში".

გიორგი ჯალაღანია



იპოვი

\*\*\*
- შაბათ-კვირას რას აკეთებ, სადმე ხომ არ აპირებ წასვლას?
- ალბათ პირდაპირ საცივში
- თავით, ქორწილში ვარ დაპატივებული.

\*\*\*
მამაკაცს საშინლად უშლის ნერვებს მინი-ქვედა კაბა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ის თავის ცოლს აცვია.

\*\*\*
- ჩემო პატარავ, მოდი, უმღერე სტუმრებს...
- არა, არ არის საჭირო, ჩვენ უკვე მივდივართ...
- მომეჩვენა რომ არ ჩქარობთ...

\*\*\*
- ბატონო მოსამართლე, რატომ გაამართლეთ დამნაშავე, რომელმაც ყალბი ფული მომყიდა?
- ეს რა ფულია, ბავშვიც კი ერთი დახედვით მიხვდება, რომ ყალბია.
- მე ხომ ვერ მიხვდები?
- არ შეიძლება, ორი შტერიდან ერთ-ერთი იმიტომ ჩავსვათ ციხეში, რომ ის ნაკლებად შტერი აღმოჩნდა...

სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ
- ფეხების დაბანა - შორი გზის ნიშანია;
- ფქვილი - სარჩოა შემატება და სიმდიდრეა;
- ფური ნახო და მოწველო - სარჩოს შემატებაა;
- ფრჩხილების გაზრდა - საწყლობა და სიგლახაკეა;
- ფარა ცხერისა მინდორზე ნახო - ბედნიერებაა;

- ფანჯარა გააღო - სამწუხარო ამბავს გეტყვიან;
- ფული ვერცხლისა ნახო - სიხარულია;
- ფულის სპილენძისა - შეჭირვებაა;
- ფარანი ანთებული - სიხარულის ნიშანია;
- ქათმის ნახვა - ცუდი და ვაგლახი ნიშანია;
- ქვა ისროლო - ავი საქმის განახლებაა;
- ქუხილი გაიგონო - ახლა ამბავს გაიგებ;
- ქისა ფულით იპოვნო - კარგი ნიშანია.



გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასფეროში! მისი ძირითადი კრედიტები - შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისაგან! ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი - არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან! შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"!

Advertisement for Domentol and Gagelon medicines. Includes product images and text in Georgian: "მასთან სიზოცხლაუა ხელაქნაულაბი მილიან გამოჯანმრთალაულაბი ბრუნდუბიან", "გაგელინი ვრეკარაბი არკანს", "გაგელინი ბიზიანი (დომანტი)", "ბათა: 893-22-66-51 8(250) 7-61-24", "ბათაბი, შათანის 11, (ორგაბათს, ოთხგაბათს და პარასაბს, 10-დან 14 საათბაბი).

Table with contact information for 'იპოვი' magazine. Columns include: 'გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე', 'რედაქციის მისამართი: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11, სარეგ. №01018002930', 'მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია', 'მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალაძე', 'ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყიშვილი', 'anaklia@web.de', 'e-mail: elisabetthal@yahoo.de', 'ჩაქალაქის განთავსება 899-57-33-22', '72-37-35', '38-41-97'.